

აგრონიუს.ჯი

მიხედეთ მინას; მინა დაგაპურებთ და ვაგათბობთ თქვენ!

ჩილა—ქ

Agro News

New სხვალი **ეპიდემიური**

საქართველო

ISSN 1987-8729
9 771987 1872003

სამეცნიერო-სანიწორმაციო ჟურნალი

№12 (68), დეკემბერი, 2016

რეგიონული ლაბორატორიების გაძლიერება



ოზურგეთის რეგიონული ლაბორატორია

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
ქ. თბილისი, ვ.გომიანაშვილის №49
ტელ.: (995 32) 2 53 0968

www.lma.gov.ge



რატექსი RATEX

ბრომადიონოლი 0,5%



მღრღნელებთან
(თაგვი, ვირთხა)
ბრომადიონოლის ეფექტური
ანტიკოაგულიანტური
საშუალება

სითხე მარცვლულზე ან კმხვეულზე
მისატყუარის მოსამზადებლად.

- დაზურული შენობების, სათავსოების და ღია ფართებისათვის 100 მლ რატექსით მზადდება 2,5-5 კგ-მდე მისატყუარი.
- შერევიდან მიღებული მასა უნდა დაყოვნდეს 24 საათი, შემდეგ განთავსდეს სოროებში.
- თაგვებისათვის - 100 მლ პრეპარატი 2,5-3,5 კგ მისატყუარზე.
- ვირთაგვებისთვის - 100 მლ პრეპარატი 3,5-5კგ მისატყუარზე.
- დაზურულ შენობებში 100 გრ მზა მისატყუარი საკმარისია 20-50 კვ.მ-ზე.
- ღია ფართებში 1000 კვ.მ-ზე 200-300 გრ მზა მისატყუარი.
- სიკვდილიანობა იწყება 3-5 დღის შემდეგ.

მწარმოებელი:
„კორონი“, საქართველო.



WWW.AGROVET.GE

12გგ.



**ახალი აგრარული
საქართველო**
AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

დეკემბერი, 2016 წელი.

№12 (68)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუგზარ ებანოძე, რეზო ჯანბიძე, მიხეილ
სოხაძე, თამარ სანიძე, ნოდარ ბრეგვაძე,
ბექა გონაშვილი, გიორგი ბარისაშვილი
(მეცნიერება-მედიცინის რედაქციის
რედაქტორი), თამთა გუგუშვილი (ინგლ.
ვერს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარაბიძე (თაქჯელომარე),
გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტყარაძე,
ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ებანოძე,
პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე,
შოთა ჭალაგანიძე, ზვიად ბრეგვაძე,
ელგუჯა გუგუშვილი, გოგოლა მარგველაშვილი,
ანა გულბანი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ
ჯულუხიძე, ზურაბ ჯინჯიასაძე, ქრისტო
კახიაშვილი, ადლო ტყემელაშვილი, ნატო
კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშვი, ჯემალ
კაციტაძე, ნუგზარ სარჯველაძე, თენგიზ
ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური
პრობლემების კვლევითი ცენტრი „რეგიონია“;
Regionica — Georgian Research Center for Regional
Economic Priorities.
რედაქციის მისამართი:
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53
www.agronews.ge

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერიელი“
(ციფრული ბიბლიოთეკა)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო

დააკაბდონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.
The journal acts in accordance with
the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

WORLD TECHNIC
საგურამო ბაჟინია
www.worldtechnic.ge

როგორი წაიკითხათ:



4 ლომთაგორა

ქართული სორბალი

სამყაროში არსებულ ხორბლის
გვარში შემავალი 27 სახეობიდან, სა-
ქართველოში გვხვდება და აღწერი-
ლია 14 სახეობა:



**8 ქართული სოფლის სტატუსის
შესახებ**

მიუხედავად იმისა, რომ 1924-31 წწ.
მომზადდა და 1931-32 წწ. საბოლოოდ
გატარდა ადმინისტრაციულ-ტერიტო-
რიული მოწყობის იმგვარი რეფორმა,
რომელიც ძირითადად სწორედ პავლე
ინგროყვას დარაიონების პრინციპებს
დაეყრდნო.



13

**ადვადგინოთ მინდვრის
კულტურების აპრობაქსიკური
ღონისძიებები კოლხეთის
დაბლობზე**

ქვემოთ წარმოგიდგენთ კოლხეთის
დაბლობზე ჩასატარებელი ღონის-
ძიებების მოკლე ანოტაციებს.

**ბრძელდება ხელმოწერა
ჟურნალ**



**ეგრარულ
საქართველოზე**

ერთი წლით ჟურნალზე ხელმოწერის
ღირებულება შეადგენს 24 ლარს,
ნახევარი წლით – 12 ლარს.

ხელმოწერის გაფორმება შესაძლებელია პრისის
გავრცელების საბავშვოების მშვენიერებით:

„ელვა ჯი“ (ტელ.: (032) 238 26 73; (032) 238 26 74);

ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედაქციაში.

მისამართი:

თბილისი, გორგასლის ქ. №51,

ტელ.: 599 16 18 31.

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

**6 მამი ყურადღება შვიკის
კულტურას**

**12 „რაბჟისი“ მღრღნელების
წინააღმდეგ**

**15 სიმიდის ტრადიციული ჯიშების
მოკლე დანახილვა და
სარბიზიციკრების თაჟინსუბურბანი**

18 დაფნის გაჟენება

**20 რაჟიონული ლაბორატორიების
გაჟილირების პროგრამა -
ოჯურბათის რაჟიონული
ლაბორატორია**

**20 ალბრების გაჟოფნაჟი სარაჟელა
მჟენარაჟი**

**22 დააჟოჟონეთ სუჟათესო მარჟჟი
ჯუგაღიღიდან**

**23 „სუსმან ჟინს ჟოჟჟიას“ ჟურჟინის
წინაწინ ჟათი ეჟსოჟრბჟ
ეჟროჟაჟი გაჟა**

**24 „თანაჟარი უფლვაჟი და
შესაჟელაგლობაჟი ჟჟიღას“ ჟს
მარბო ლუჟუნბაღ არ უნღა დაჟრღს**

**26 ფარჟჟი სოფალი
მეჟჟრინსეჟიღან**

27 წინაწინის გაჟოჟრღა და ჟჟჟა

**29 რაჟოჟენღასიჟი მესაჟონღაოჟინ
ღარჟინ ფარჟჟრბჟ**

31 გაჟჟო ჟითსჟა აბრონოჟთან?

32 გაჟჟო ჟითსჟა ჟჟჟარინაროჟთან?

**33 ახალგაჟრღა ჟჟჟარინარი გოგა
გოგოლაჟიღი**



ქართული ხორბალი

საქართველო ვაზისა და ხორბლის წარმოშობის ძვინანა. კოლხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების დროს, ძველი ადამიანების სადგომებსა და სამარხებში, აღმოჩენილია (ძვ. წელთაღრიცხვით) V-IV ათასწლეულის დანახშირბადოვანი ხორბლის მარცვლების ნიშნები.

სამყაროში არსებულ ხორბლის გვარში შემავალი 27 სახეობიდან, საქართველოში გვხვდება და აღწერილია 14 სახეობა:

1. მონოკოკუმი
2. დიკოკუმი
3. ტიმოფევი
4. გეორგიკუმი-პალეოკოლხიკუმი
5. ქართლიკუმი-პერსიკუმი-დიკა
6. დურუმი
7. ტურგიდუმი
8. პოლონიკუმი
9. ტურანიკუმი-ორიენტალე
10. ესტიუმი
11. სპელტა
12. კოპაქტუმი
13. მახა
14. ჟუკოვსკი

რაც შეადგენს სამყაროში ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 62%-ს. შესაბამისად დედამიწაზე გავრცელებულ ხორბლის სახეობებშიც 70% ქართული გენი დევს. მათ შორის 5 ენდემური, აბორიგენული სახეობაა, რომელიც სრულიად უცნობია სხვა ქვეყნებისათვის და ბუნებრივად მხოლოდ საქართველოში გვხვდება. საქართველო ითვლება ხორბლის სახეობათა წარმოქმნის კერად.

გერმანელმა მეცნიერებმა ხორბლის ქართული ჯიში „ზანდური“ იმ მარცვლოვან კულტურებს შორის დაასახელეს, რომელთა მოხმარებაც მსოფლიოში უახლოეს მომავლში აქტუალური იქნება. კვლევა ჟურნალ Trends in Plant Science-ში 2016 წელს გამოქვეყნდა. ზანდურთან ერთად ამავე კონტექსტში დასახელდა სხვა ჯიშები – „პოლუპოლბა“ და „სპელტა“. გამოცემა აღნიშნავს, რომ „ზანდურისა და პოლუპოლბას“ პოპულარობის ზრდის მიზეზი მათი სტაბილურობა, მაღალი იმუნიტეტი და პარაზიტებისადმი მდგრადობაა, ასევე მომხმარებლების მისწრაფება, გაამრავალფეროვნონ კვების რაციონი. მეცნიერებმა გააანალიზეს ასობით სახეობა და 15 მათგანში

აღმოაჩინეს პოტენციური ბაზარზე გასასვლელად. მეცნიერთა აზრით, სწორედ დასახელებული ჯიშები ჩანაცვლებს უახლოეს მომავალში ხორბლის თანამედროვე სახეობებს. Trends in Plant Science-ი აღნიშნავს, რომ 9 ათასი წლის წინ ადამიანი ამ მცენარეებს იყენებდა საკვების მოსამზადებლად, თუმცა მწვანე რევოლუციამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, ამ კულტურების განდევნა გამოიწვია.



პურის საგანგებო მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს განსაკუთრებული გაჭირვების დროს შეუძლია თავისი არსებობა მარტო პურის საშუალებითაც შეინარჩუნოს.

ქვეყანამ თავისი სავარგულების 60% უნდა დაუთმოს ხორბლისა და მარცვლოვან ნარმოებს და ამისთვის უნდა გამოთავისუფლდეს და დამუშავდეს მიწის სავარგულები. ბოტანური, ხილი, ციტრუსი და სხვა არ არის სურსათი, არის მხოლოდ მისაყოლებელი შეჭამანდე.


ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა „ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ საყიდელი არ გაგვიხდეს და ჩვენს შინაურ

ბაზარს ეყოს“. ე.ი საგანგებოდ გვაფრთხილებდა, რომ პური საყიდელი არ გაგვხდომოდა. ილიას სწამდა, რომ „ჩვენ ქართველები პურისა და ღვინის ქვეყანა ვართ“, „თუ ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად ქონებითად და აქედან ზნეობითადაც“.

სტატისტიკური მონაცემებით ხორბლის წარმოების მხრივ. ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია. ერთ სულ მოსახლეზე, წლის განმავლობაში ამჟამად ქვეყანაში 18 კილოგრამი ხორბალი ინარმოება მაშინ, როდესაც ნორმით საჭიროა 120 კილოგრამი ხორბალი, ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც საკმარისი გაქვს ხორცი, კარაქი, რძე და სხვა.

ეკონომიურად განვითარებულმა ქვეყნებმა სხვაზე ცუდად როდი იციან, რომ პური უფრო იაფია, ვიდრე ჩაი, ციტრუსი და სხვა, არც მათ უჭირთ სხვა ქვეყნებში პურის შექმნა და შეტანა, მაგრამ იმედს მთლიანად იმპორტზე არ ამყარებენ და აწარმოებენ მილიონობით ტონას. ასე იქცევია, რადგან იციან, რომ ამ გამორჩეული პროდუქტისადმი ჩვეულებრივი საქონლის საზომით მიდგომა მეტად სასიფათოა, რომ პურით ქვეყნის უზრუნველყოფა განსაკუთრებული ზენოლის, წნეხის ქვეშ მოქცევაა, წნეხისა, რომელიც პოლიტიკური გარემოების გამო ყოველწუთს შეიძლება არასასურველი მიმართულებით ამოძრავდეს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ შემოტანილი პროდუქციის სიიარვე ყოველთვის იმას როდი ნიშნავს, რომ მათი წარმოების თვითღირებულება სხვისაზე დაბალია. უმეტეს შემთხვევაში ეს გამიზნულია მოხმარების ბაზრის დასაპყრობად და ნაციონალური წარმოების დასასუსტებლად, სულაც ფუნქციონირების შესაწყვეტად-იმისათვის, რომ შემდგომში გამორიცხოს კონკურენციის შესაძლებლობა, გაზარდოს ფასები და აინაზღაუროს დანაკლისი.

ასეთ ვითარებაში ნაციონალური ამოცანა უნდა იყოს ეროვნული, ადგილობრივი, წარმოების შენარჩუნე-



ბა, განმტკიცება და განვითარება, ზრუნვა იმისათვის, რომ იგი საკუთარ საფუძველზე დადგეს.

ბუნებაში არაფერი იკარგება. თუ ხორბლის სახეობა არის გამძლე, ამტანი და ხასიათდება დაავადების მიმართ იმუნიტეტის თვისებებით, მაშინ მისი მირთმევის შემთხვევაში ეს თვისება ადამიანებშიც გადადის. სწორედ ამ თვისებებს აქცევდნენ ყურადღებას ჩვენი წინაპრები.

სოფლის მეურნეობის წარმოების საფუძველია მწვანე მცენარე. მხოლოდ მას აქვს უნარი გამოიყენოს მზის სხივური ენერჯია, მოახდინოს მისი აკუმულირება, ნაყოფში, ნიადაგსა და ჰაერში არსებული არაორგანული ნივთიერებიდან შექმნას ორგანული ნივთიერება, ადამიანისთვის შესათვისებელ ფორმაში, რომელიც სიცოცხლის ენერჯის წყაროა.

მსოფლიოში დაახლოებით კულტურულ მცენარეთა 4000 სახეობაა გავრცელებული. ნ.ი. ვავილოვის მიხედვით კულტურულ მცენარეთა მნიშვნელოვან სახეობათა რიცხვი 600-ს აწევს. აქედან 78 სახეობა პურეულები, მარცვლოვანი პარკოსნები და სხვა მარცვლოვნებია.

პურეული ეკუთვნის მარცვლოვანთა ოჯახს (Gramineae). ამ ოჯახში შემავალ მცენარეებს ახასიათებს საერთო ნიშნები. პურეულში გვხვდება როგორც თვითგამანაყოფიერებელი (ხორბალი, შვრია, ფეტვი, ღომი, ბრინჯი); ასევე სხვით გამანაყოფიერებელი (ჯვარედინგამანაყოფი-

რებელი) ჭვავი, სიმინდი, სორგო და სხვა. მორფოლოგიურ-ბიოლოგიურ თვისებათა მიხედვით იყოფა ოთხ ჯგუფად. მარცვლოვანი პურეულის I ჯგუფში შედის ხორბალი, ქერი, ჭვავი და შვრია; II ჯგუფში (ფეტვნიარი) მარცვლოვანების ოჯახიდან: ფეტვი, ღომი, სიმინდი, სორგო, ბრინჯი; III ჯგუფში შედის მარცვლეული პარკოსნები-პარკოსნების ოჯახიდან: ლობიო, სოიო, ბარდა, ხანჭკოლა, ოსპი, მუხუდო და სხვა, რომლებიც მდიდარია ცილოვანი ნივთიერებით (25-50%), IV ჯგუფში დანარჩენი მარცვლოვანი და საბურღულე კულტურები, რომელიც მიეკუთვნება სხვადასხვა ოჯახს: წინიბურა მატიტელა-სებრთა ოჯახიდან და სხვა.


პურეულ მცენარეთა მარცვლის ქიმიური შემადგენლობა იცვლება ზრდის პირობების, მცენარეთა სახეობისა და ჯიშის მიხედვით. მარცვლის მთავარი მასა წარმოადგენილია ნახშირწყლებით. მათ შემადგენლობაში 90%-მდე სახამებელია და მხოლოდ 10%-ი მოდის ხსნად ნახშირწყლებზე (მაქარზე), რომლებიც უმთავრესად განთავსებულია ჩანასახში. უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ აზოტიანი ნივთიერებანი, აზოტიან შენაერთებში ჭარბობენ ცილები. წყალში უხსნად ცილების ფორმას წებოვანა ენოდება. წებოვანას რაოდენობას და თვისებას (ბმულობის ხარისხს და ნევადობას) დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ცხობის თვალსაზრისით. წებოვანა იძლევა უკეთ გაღვივებულ და გა-

ფუებულ ცომს, ორგანიზმისათვის ადვილად მოსანელებელს. ცილების რაოდენობის შედგენილობით იზომება ხორბლის ხარისხის მაჩვენებელი. მომნიშვნელოვანი ნორმალური ტენიანი (12-14%) მარცვალი 10 ნელსაც ინარჩუნებს გაღვივების უნარს. მცენარე გაღვივებიდან ახალი თესლის შექმნით გადის გარკვეულ სტადიებს, განვითარების ფაზებს, რომელიც კლასიფიცირდება სხვადასხვა სისტემით (Feekes, Zadoks, Naun).

ხორბლის ზრდა-განვითარების საერთაშორისო კლასიფიკაცია „ზადოქსის-ის შკალის მიხედვით. (იხ. სურათი 1.)

გალვივებისათვის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია სითბო. თესლის გაღვივებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 15*-20*, მაგრამ სინამდვილეში თესვა წარმოებს (გარკვეული მიზეზების გამო) ნიადაგის მინიმუმი ტემპერატურის 3*-4*-ის პირობებში. გაღვივება ამ პირობებში ნაკლები სიცხოველით მიმდინარეობს, მაგრამ ასეთ მკვეთრად გადახვევას მიმართავენ გარკვეული მოსაზრებით; მინიმალური ტემპერატურის შემთხვევაში გაღვივება თუ ხანგრძლივდება, სამაგიეროდ განვითარების შემდგომი ფაზები (ბარტყობა, აღერება და სხვა) მიმდინარეობს სრულიად ნორმალურ პირობებში და უზრუნველყოფს დაგეგმილ მოსავალს.

პანა ლაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი



მეტი ყურადღება შვრიის კულტურას



სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება ძირითადად სამცხე-ირო-ტიქონიური მიწწვევებითაა განხორციელებული. სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების და რენტაბელუბის გასაზრდელად ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სამხრეთ ტიქონოლოგიებია, რაც თავისთავად სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების სრულ მიქმნიზაციას ნიშნავს.

შვრია ეკუთვნის ძველი კულტურების რიცხვს, მაგრამ მისი მოყვანა ხორბალთან, ქერთან და ფეტვთან შედარებით გვიან დაიწყო. შვრია ევროპული ქვეყნებისათვის უფრო ადრე გახდა ცნობილი, რადგან ჩრდილოეთის ქვეყნები ტენით უფრო მდიდარია. ამიტომ შვრია ფართოდაა გავრცელებული გერმანიაში, ნორვეგიაში და შოტლანდიაში. რუსეთში შვრიის მოყვანა დაიწყო მე-7 საუკუნიდან. პურეულის მსოფლიო წარმოებაში შვრიის სათესი ფართობი მეხუთე-მეექვსე ადგილზეა. საქართველოში შვრიის ფართობი უმნიშვნელოა და იგი ძირითადად საქონლის საკვებად მოჰყავთ.

უკანასკნელ ათწელიწადში შვრიის კულტურისადმი ინტერესი გაიზარდა მისი, როგორც სასურსათე სანარმო და სამკურნალო თვისებების მქონე მცენარისა, რომლის საკვებ ღირებულებასაც განსაზღვრავს მის მარცვალში შემავალი ცილები (9,0-19,5%), სახამებელი (40-56%) და ცხიმები (4-6%). მარცვალი გამოიყენება ბურღულეულის, ხოლო ხორბალთან ნარევი საკონდიტრო ნარემის დასამზადებლად. შვრიის ქიმიური შენაერთები უმაღლესი ხარისხისაა და იგი ძვირფასი სასურსათე პროდუქტია, რომელიც ადვილად მონელებადია. შვრიიდან დამზადებული პროდუქტები მნიშვნელოვანია დიეტურ და ბავშვთა კვებაში. მკვეთრად გაიზარდა

და მოთხოვნილება შვრიის ფქვილზე, ბურღულზე და ყავაზე. ყველა ეს პროდუქტი ხასიათდება ანტიალერგიულობით.

გასაოცრებია შვრიის სამკურნალო თვისებები, რომელზედაც ჰიპოკრატეც მიუთითებდა. შვრიას აქვს ალდგენითი ეფექტი, გამოიყენება ტუბერკულოზის სამკურნალოდ, ფილტვის დაავადებების დროს, ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის გასაძლიერებლად. გამოიყენება ღვიძლის სამკურნალოდ, ალერგიული დაავადებების დროს, ალდგენს გულის რითმს, აწესრიგებს ნერვულ სისტემას. შვრიის წყალხსნარი გამოიყენება შარდმდენად და თირკმელების დაავადებების დროს. მწვანე შვრია გამოიყენება ორგანიზმის გასაწმენდად, დალილობის, უძილობის, არასაკმარისი მადის დროს. შვრიას აქვს სკლეროზის საწინააღმდეგო ეფექტი.

შვრია კარგი საკვებია შინაური ცხოველებისა და ფრინველებისათვის. შვრიის ჩალა და ბზე კვებითი ღირებულებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა კულტურების იგივე ანარჩენები. პარკოსან ბალახებთან ნარევი შვრია კარგია მწვანე საკვებად და თივად. შვრიას ხშირად თესვენ ცერცველასთან ნარევი. ცერცველა-შვრიის ნარევი ერთ-ერთი საუკეთესოა დაკავებულ ანეულზე დასათესად. იგი იძლევა დიდი რაოდენობის მაღალხარისხიან მწვანე

საკვებს ან თივას და ადრე ათავისუფლებს მინდორს ნიადაგის მოსამზადებლად სამემოდგომო კულტურებისათვის.

შვრიას გააჩნია სახეობათა დიდი მრავალფეროვნება, რომელთა შორის არის მრავალწლოვანი და ერთწლოვანი, კულტურული და ველური ფორმების 70-მდე სახეობა. პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს 11 სახეობას, რომელთაგან საქართველოში ძირითადად გავრცელებული გვხვდება ორი სახეობის: კულტურული შვრია (*Avena sativa L.*), ხასიათდება გვალვაგამძლეობით და მლაშე ნიადაგებისადმი შეგუებულობით და ველური შვრია – შვრიუკა (*Avena Fatua L.*), ასარეგინებს პურეულის ნათესებს და მინდვრის კულტურებს.

შვრია თვითგამანაყოფიერებელი მცენარეა, მაგრამ მის ნიშან-თვისებებს ახასიათებს ფართო ცვალებადობა. შვრიის თესლი კილებით არის დაფარული, ამის გამო მის გალივებას შედარებით მეტი დრო და წყალი ჭირდება. შვრია სითბოსადმი არ არის მოთხოვნი, იგი ზომიერი ჰავის მცენარეა. აღმოცენებიდან ყვავილედის გამოტანამდე შედარებით გრილი ამინდით კმაყოფილდება. თესლი გალივებას იწყებს 3-40 ტემპერატურაზე. გაზაფხულის სუსხს -3-40-ს კარგად იტანს. ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურაა აღმოცენების შემდგომ პირველ ოთხ კვირაში 10-12°C. ისეთ პირობებში თუ ტენი საკმარისია, კარგად ვითარდება და ნაკლებად ზიანდება მავნებლებით. მაღალი ტემპერატურის მიმართ უფრო მეტად მგრძობიარეა, ვიდრე ხორბალი და ქერი.



შვრია ნიადაგისადმი უფრო ნაკლებ მომთხოვნია, ვიდრე სხვა საგაზაფხულო პურეული, რაც გამონვეულია კარგი ფესვთა სისტემით და მისი მაღალი შეთვისებადობით. იზრდება ქვიშნარ, თიხნარ და ტორფიან ნიადაგებზე. ამავე დროს შვრია დადებითად ეხმარება ნიადაგის ნაყოფიერებას. კარგი მოსავალი მიიღება შავ მიწებზე საკმარისი ტენიანობის დროს. სხვა კულტურებზე უკეთესად ცხოველმყოფელობს მუავე ნიადაგებზე. მშრალ ქვიშიან ნიადაგებზე წყლის ნაკლებობა იწვევს წვრილთესლიანობას, ცუდ ამოვსებულობას, გადიდებულ კილიანობასა და ფხიანობას. შვრიის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მაღალი მოსავლის მისაღებად, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია სპეციფიკურია.

შვრია რეალურად ყოველთვის ავადდება სოკოვანი დაავადებით (ყანგა, გუდაფშუტა), ადვილად ზიანდება აოდვისაგან, ამიტომ თესლის შენამვლა აუცილებელია. მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მაღალხარისხოვანი თესლით თესვა. სათესლედ მხოლოდ მსხვილი მარცვლები უნდა გამოვიყენოთ.

შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას იძლევა ვთესოთ, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე. ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც შემოდგომის ნათესი კლიმატური პირობების გამო სამეურნეო მნიშვნელობას კარგავს. ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა. ამ თავისებურების გათვალისწინებით საშემოდგომო თესვა ემთხვევა საშემოდგომო ხორბლის თესვის პერიოდს, საგაზაფხულო თესვა შესაძლებელია ჩატარდეს ადრე გაზაფხულზე, დაზიანებული საშემოდგომო ნათესების გადასათესად, ან საგაზაფხულო თავთავიანების თესვის პერიოდში.

მწვანე საკვებად თესვის დროს საჭიროა 240-250 კგ/ჰა-ზე მარცვალის დაითესოს ვინრო მწკრივებად. სამარცვლე შვრიის თესვის ნორმაა 180-220 კგ/ჰა-ზე. მარცვალის უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულ მოთხოვნებს თესლის სისუფთავესა და გაღვივების უნარს.

შვრია სწრაფმზარდი მცენარეა უხვი ამონაყრით. ერთ ჰექტარზე ორ ტონამდე მწვანე მასას იძლევა, მწვანე საკვებად და სენაჟად, იყენებენ თივადაც, თუმცა ხარისხით ბალახის თივას ჩამოუვარდება. მარცვლის მოსავალი მერყეობს 1.2-დან 2.0 ტ/ჰა-მდე.

თესლბრუნვამი შვრიის მოთავსება შესაძლებელია ყველა კულტურის შემდეგ. უკეთესია სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებული მინდორი. დაუშვებელია ზედიზედ თესვა. შვრია კარგი წინამორბედაა სათოხნი კულტურებისათვის, ტოვებს სუფთა ნიადაგს.

შვრიისათვის სასურველია ნიადაგის მზრალად მოხვნა, გაზაფხულზე ხნულის გაფხვიერება და დაფარცვა.



თესვისწინა დამუშავება, სათესლე მასალის მომზადება, თესვა, ნათესის მოვლა და სხვა. აგროლონისძიებები იმავე ვადებში და წესით სრულდება, როგორც საგაზაფხულო ხორბალში და ქერში. შვრიის სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება 80-120 დღე.

ფერმერულ მეურნეობებში და კერძო ნაკვეთებზე შვრიის მოყვანას ხელს უშლის გავრცელებული ჯიშების დაბალმოსავლიანობა, ჩანოლისადმი მიდრეკილება, მარცვლის ცვენადობა და ხშირ შემთხვევაში გაზაფხულზე თესლის დეფიციტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში 2014 წლიდან დაწყებულია შვრიის სასელექციო მასალის შესწავლა. შესწავლის შედეგად გამორჩეული და გამრავლებულია პერსპექტიული ჯიში „არგო“, რომელიც ხასიათდება მაღალმოსავლიანობით, მაღალხასხიანობით,

ჩანოლისადმი გამძლეობით, დაავადებების და მავნებლებისადმი იმუნიტეტით, მდგრადია მარცვლის ჩაცვენისადმი და შეუძლია მყარი მოსავლის მოცემა.

შვრიის კულტურის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარცვლის გადამამუშავებელი საწარმოების ჩართვას. კულტურის კომერციალიზაცია ხელს შეუწყობს ფერმერთა დაინტერესებას და მკვეთრად გაზრდის შვრიის ფართობს. შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას მოგვცემს ვთესოთ როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე. ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც შემოდგომის ნათესი კლი-

მატური პირობების გამო სამეურნეო მნიშვნელობას კარგავს. ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა. შესაძლებელია გამეჩხერებული ნათესის გადათესვა და იგივე ფართობზე შვრიის საზაფხულო სუფთად თესვა. სხვა თავთავიან მარცვლოვანთა თესლბრუნვაში შვრიის თესვა უარყოფით შედეგს არ იძლევა.

დასკვნა ერთია, შვრია მრავალმხრივი მოხმარების საუკეთესო საკვები, სასურსათე, სამკურნალო კულტურაა, რომელსაც შეუძლია ფერმერებს დაეხმაროს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებაში, მოსავლის დაზღვევაში და მოგების გარანტირებულ მიღებაში.

ცოტნე საგადაფხილი,
ნანა ჩხუტიაფხილი,
ნუზხარ ბანდიანიფხილი,
*სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი*



ქართული სოფლის სტატუსის შესახებ

არსებითა, რომ სოფელი არა მხოლოდ გუნებარივი ტერიტორიულ-სოციალური ერთეულია, იგი, ისევე, როგორც მთლიანობაში იგი, ისტორიის შემოქმედი სრულიად კონკრეტული სუბიექტია. ქართული სოფელი, როგორც წესი, მრავალსაუკუნოვანი, არც თუ იშვიათად – მრავალათასწლოვანი უწყვეტი ისტორიული პროცესის შედეგად არის მოსული თანამედროვეობაში, როგორც ჩვენი ყოფიარების ერთ-ერთი ძირითადი მოცემულობა; შემთხვევითი არ არის, რომ სახელდება – „სოფელი“ ქართულ ენაში „აჲ“ ყოფიარების აღმნიშვნელი ტერმინია („ვაჰ, სოფელი, რაშიგან ხარ...“); ამდენად, ქართული სოფლის გავის გაღწევა, მისი სამართლებრივი მდგომარეობის – სტატუსის დადგენა არა ცალკე პოლიტიკური თუ ოდენ სოციალურ-ეკონომიკური, მითუმეტეს – არა მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული ამოცანა, არამედ თემისა და საკოლონო ჯგუფი – მთლიანად ერის ყოფნა-არყოფნის, მისი ეგზისტენციისა და იდენტობის მრავალგანზომილებიანი, კომპლექსური პრობლემაა.

ამ კომპლექსური პრობლემის გასაღები თემის უფლებრიობისა და მასთან ორგანულად დაკავშირებულ სრულიად ერისა და ცალკე თემის სამკვიდროს, ანუ – ქვეყნის (ქვეყანა ქართულად მინაა!) პატრონობის დამდგენი ფუძემდებლური პრინციპების გარკვევით უნდა მოვიძიოთ. ხაზგასასმელია, რომ მრავალათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ეს პრინციპები ჯერ კიდევ ადრეული ნეოლითის ეპოქიდანვე იღეს დასაბამს; ეს იგივე პრინციპებია, რაც დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული, არამედ საზოგადოდ, ევროპული ტიპის სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაციისათვის: ქართული „თემი“ არსებითადაც და რასაკვირველია, უწინარესად – უფლებრივად, იგივეა, რაც ევროპული „კომუნა“; მისი ცალკე სამართალ-სუბიექტობა, საკუთრივ მისი ავტონომიური უფლებებისა და დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის არსებობა სწორედ ის ფუძემდებლური პრინციპია, რაც „ქართულ, მამასადამე ევროპულ“ ყოფას იმთავითვე (ე.ი. სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაციების ფორმირებისთანავე) გამოარჩევს და რომელიც მოგვიანებით, თანამედროვე ევროპული დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გახდება; მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპია

კერძო საკუთრებასთან ერთად საზოგადო, სათემო საკუთრების არსებობა, რომელიც თემის სამკვიდროზე ადგილობრივი საზოგადოების („კომუნის“, „თემის“), როგორც ამ სამკვიდროს სრულუფლებიანი პატრონის უფლებათა შეუფალობას ადგენს. ეს პრინციპები სამართლებრივად ფორმდება ჯერ კიდევ პატრონ-ყმობისა და ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად (შესაძლოა, მანამდეც) და ქართულ სამართალში შენარჩუნებულია ვიდრე გვიან-ფეოდალურ ეპოქამდე (ამ მხრივ სამაგალითოა თუნდაც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული), მეტიც: თვით რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომაც, ბატონ-ყმობის გაუქმებამდე, ე.ი. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებამდე სწორედ ეს პრინციპები გამოიყენებოდა.

ამრიგად, საქართველოში, ისევე, როგორც ევროპაში, თემის უფლებრიობა, მისი სამართალ-სუბიექტობა, თემის სამკვიდროზე თემისავე საკუთრება სამართლით გახლდათ მოწესრიგებული და დაცული. მინაზე ფეოდალთა კერძო საკუთრების, პატრონ-ყმობის, შემდგომ – ბატონ-ყმობისდა მიუხედავად, სწორედ სათემო საკუთრებისა გახლდათ თემის სამკვიდრო – საერთო სარგებლობის საძირკო, სათიბი, სარეზერვო დანიშნულების მიწა, მიმდე-

ბარე ტყე, ჭალა, მდინარე თუ წყარო. ამ საზოგადო, სათემო საკუთრებას თავად თემი დამოუკიდებლად პატრონობდა, უვლიდა და განაგებდა; სათემო ქონების მართვისას სოფლის ყოველი მკვიდრი კომლი სრულუფლებიანი თანამონაწილე იყო და რასაკვირველია, საკუთარი წილი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა მის სათანადო მოვლა-პატრონობაზე.

ხაზგასასმელია, რომ ქართული ტრადიციული სამართალი სოფლის მკვიდრი კომლისაგან უფლებრივად მკაფიოდ მიჯნავდა ხიზანს. სოფელში თემს შეკედლებული ხიზნებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში, შესაძლოა, საკუთარი სამკვიდროც კი შეეძინათ, სათემო ქონებაში იმთავითვე წილი არ ედოთ. მხოლოდ დროთა განმავლობაში, როცა მათი სვე-ბედი სოფლისას იმდენად მჭიდროდ დაუკავშირდებოდა, რომ თემისადმი მათი კუთვნილება, თემის ინტერესებისადმი მათი ერთგულება ყამის არაერთ გამოცდას გაუძლებდა და ეჭვს აღარ იწვევდა, ხდებოდნენ ისინი თემის სრულფასოვანი წევრები. ისიც ნიშანდობლივია, რომ თემიდან მოკვეთა, გაძევება სამოქალაქო სიკვდილს უტოლდებოდა და თემის მიერ გამოტანილ ყველაზე მძიმე სასჯელს წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნის მიწურულს ინდუსტრიალიზმის შემოსვლასთან ერთად, როდესაც ცარისტული რუსული იმპერიალიზმის პირობებში შეუძლებელი იყო თემის უფლებრიობის უკვე დემოკრატიად, ევროპული ყადის ადგილობრივ თვითმმართველობად ჩამოყალიბება, საფრთხე დაემუქრა ქართული თემის არსებობას: ნიადაგი ეცლებოდა ტრადიციულ სათემო საკუთრებას და თემის სამკვიდრო, როგორც რიგითი რამ საქონელი, ახლადგაჩენილი ინდუსტრიული ბაზარის დახლზე შეუზღუდავად იყიდებოდა.

როდესაც თემის სამკვიდროს დასაცავად არ არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტრუმენტები, ქვეყანა კი უცხო სახელმწიფოს ოდენ პროვინციას წარმოადგენდა, მხოლოდ დიდი ილიას მიერ მობილიზებული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევამ, უწინარესად – საადგილმამულო ბანკმა, დაიცვა ქვეყანა იმგვარი სრულმასშტაბიანი ეროვნული კატასტროფისაგან, რომლის კონტურები დიდმა ქართველმა, ნიკო ლორთქიფანიძემ სულისშემძვრელ „იყიდება საქართველო!“-თი დახატა და რაც, რასაკვირველია, მომაკვდინებელი მუქარა იყო ქართული სოფლისათვისაც.

1918-21 წწ. დემოკრატიულმა საქართველომ პირველი ნაბიჯები გადადგა და საფუძველი ჩაუყარა ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტის შექმნას, რაც სამომავლოდ თემის უფლებრიობისა და სათემო სამკვიდროს მოვლა-პატრონობის, ინდუსტრიული განვითარებისას სოფლის ახლებური სტატუსის ურყევობის საწინდარი და მთავარი გარანტი უნდა ყოფილიყო. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დიდი მამულიშვილის, პავლე ინგოროყვას მიერ სწორედ დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ჯერ კიდევ 1920 წელს, პირველად გამოქვეყნდა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კონცეფცია, სადაც სოფლის სათემო თვითმმართველობას ჯეროვანი ადგილი ეკავა; ასევე, პავლე ინგოროყვას მიერ სამაზრო დაყოფის სანაცვლოდ შემოთავაზებული იყო ახლებური დარაიონების პრინციპი, რომელიც ადმინისტრაციული ცენტრის – მცირე ან საშუალო ქალაქის გარშემო, მისი აგლომერაციის ზონაში მოქცეულ სოფლების ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად – რაიონად ჩამოყალიბებას გულისხმობდა; „ქალაქი და მიმდებარე ესე სოფელნი“ როგორც ერთიანი ადმინისტრაციული მთლიანობა, ტრადიციული ქართული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ეპოქიდანვე გახლდათ; გარდა ამისა, პავლე ინგოროყვას მიერ შემოთავაზებული ახალი დარაიონება იმდროინდელი ყველაზე მონიხავე ევროპული აზრის (სწორედ მაშინ ყალიბდებოდა ევროპაში ურბანიზაციის მეცნიერული თეორიები) შესაბამისად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების თანაბარზომიერებას, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ეთნიკური შემადგენლობის სწორად გათვლილ დემოგრაფიულ ბალანსს, რომლის მიზნები ერთის მხრივ,

ქართველთა, როგორც სატიტულო ერის სტატუსის ურყევობა, მეორეს მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ეთნიკურ უმცირესობათა უმტკივნეულო სამოქალაქო ინტეგრაცია გახლდათ, ემყარებოდა. ამრიგად, სათემო თვითმმართველობასთან ერთად უნდა ჩამოყალიბებულიყო საქალაქო და სასოფლო თემების ახალი, რაიონული მასშტაბის თანასაზოგადოების ადგილობრივი თვითმმართველობაც, რაც ინდუსტრიული განვითარების კვალობაზე ქვეყნის სწრაფი ურბანიზაციის პირობებში თავიდან აგვაცილებდა სოფლების დაცლის ხარჯზე უზარმაზარი მასშტაბის მეგაპოლისის გაჩენას, განვითარების არათანაბარზომიერებით გამოწვეულ ანტიგონიზმს სოფლისა და ქალაქის, სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეებს შორის, უზრუნველყოფდა საშუალო და მცირე ქალაქების, აგრეთვე მათი აგლომერაციის სოფლების ჰარმონიულ, თანაზომიერ, ურთიერთხელსაყრელ, რაციონალურ, გეგმაზომიერ განვითარებასა და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას.

საუბედუროდ, არც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმირება და ვერც სრულყოფილი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება 1918-21 წწ. დემოკრატიულ რესპუბლიკას არ დასცალდა. ინდუსტრიულ ეპოქაში საქართველოს ევროპული განვითარება არ შედგა, ამჯერად უკვე წითელი, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო.

გასაბჭოების შედეგად მოისპო როგორც კერძო, ასევე სათემო საკუთრება; თემის არსებობას ნიადაგი გამოეცალა, მისი სამკვიდრო „საერთო სახალხო საკუთრებად“ გამოცხადდა; მართალია, სოფელი, როგორც პირველადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, არ გაუქმებულა და მას ფორმალურად საკუთარი ხელისუფლების ორგანოები „მუშათა, ჯარისკაც-

თა და გლეხთა“, შემდგომ – „სახალხო დეპუტატთა“ საბჭო და ალასკომი შეუქმნეს, მაგრამ, ცხადია, საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში ერთპარტიული დიქტატურის, პარტიული ნომენკლატურის, ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებით აგებული სახელისუფლებო ვერტიკალი სინამდვილეში არავითარ ადგილს არ ტოვებდა რეალური სათემო თვითმმართველობისათვის; უარესიც: ავტონომიური სამართალ-სუბიექტის – თემის მაგივრად ძალადობრივი კოლექტივიზაციის შედეგად საბჭოური ინდუსტრიალიზმის სანარმოო სუბიექტი – კოლმეურნეობა ანდა სულაც საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, რომელიც ზეცენტრალიზებული დარგობრივი მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში „ერთიანი სახალხო მეურნეობის“ ოდენ ყველაზე დაბალი საფეხურის რგოლს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1924-31 წწ. მომზადდა და 1931-32 წწ. საბოლოოდ გატარდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის იმგვარი რეფორმა, რომელიც ძირითადად სწორედ პავლე ინგოროყვას დარაიონების პრინციპებს დაეყრდნო (პავლე ინგოროყვა, მიუხედავად მისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედობისა, სწორედ ეს საკუთარი კომპეტენტურობით, მაღალი აკადემიური ცენზით მოპოვებული ავტორიტეტის გამო წლების განმავლობაში იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი და 1926-29 წწ. მისი თავმჯდომარეც კი), სოფლისა და იქ მცხოვრები თემის ბედი, რასაკვირველია, თავიდან ბოლომდე კომუნისტური მმართველობის, მისი პატრიმონიალური ბიუროკრატის -ნომენკლატურის ხელში აღმოჩნდა. თემის უფლებრიობა მხოლოდ ნომინალური თუ იყო და სინამდვილეში, სოფლის მკვიდრი მოსახლეობა, რადგან იგი როგორც კერძო, ასევე სათემო საკუთრებისა და ყოველგვარი თვითმმართველობის გარეშე დარჩა, უფლებრივად იგივე მდგო-





მარეობაში აღმოჩნდა, როგორცაც ქართული ტრადიციული სამართალი ხიზნობად მიიჩნეოდა; თავის გადასარჩენად ძალადობრივ საბჭოურ სისტემასთან ადაპტაციის აუცილებლობა, რასაც თან ახლდა თემის საკუთარი სამკვიდროსაგან გაუცხოების დამლუპველი პროცესი, განაპირობებდა მუდამ გარეშე „პატრონის“ მოიმიდე და ხელის შემყურე ხიზანთა მდაბიური და მხდალი, თავკერძა და უპასუხისმგებლო „ეთიკის“ ჩამოყალიბებას, რაც საბჭოური და პოსტ-საბჭოური პატრონ-კლიენტელიზმის, უფრო სწორედ – პატრონ-ხიზნური სოციალური ნყოფის საფუძველია...

დღეს ქართულ სოფელს სტატუსი არ გააჩნია, იგი გეოგრაფიული სახელწოდებაა, აბრაა გზატკეცილზე რომელიც მის მდებარეობას მიუთითებს.

...მიუხედავად ზემოაღნიშნული საფრთხეებისა, ქართულმა სოფელმა საბჭოურ ტოტალიტარიზმსაც გაუძლო და საქართველოს დამუკიდებლობის აღდგენისათვის თავი შეინარჩუნა. ქართული სახელმწიფოებრიობა დღეს უმთავრესი პირობაა, რომ სოფელი უკვე ახალ ეპოქაში აღორძინდეს და მისი რაობის დამდგენი ფუძემდებლური პრინციპები ტრადიციული შინაარსის შეუცვლელად ახალი ფორმით დამკვიდრდეს ჩვენს სინამდვილეში.

დღევანდელი რეალობის გასაცნობიერებლად აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სსრკ-ს რღვევა მსოფლიო მასშტაბით ინდუსტრიალიზმის ეპოქის დასასრულსაც მოასწავებდა; ხაზგასასმელია – საბჭოურ ინდუსტრიალიზმს ახალ, პოსტ-ინდუსტრიულ ანუ როგორც მას ყველაზე ხშირად უწოდებენ – საინფორმაციო ერაში განახლებისა თუ გარდაქმნის არავითარი პერსპექტივა აღარ გააჩნდა; ამიტომაც, თუკი ქვეყანამ ახალ დროებას ალლო ვერ აულო და მომზადებული არ დახე-

და, იგი დე-ინდუსტრიულ რღვევასა და დესტრუქციას თავს ვერ დააღწევს! საინფორმაციო ეპოქაში უმთავრესი რესურსი არა კაპიტალი, წარმოების საშუალებები, ნედლეული, ენერჯეტიკა თუ სამუშაო ძალა, არამედ ინფორმაცია და ცოდნაა; ამასთან, ეს ეპოქა გლობალიზაციის არნახული მასშტაბით გამოირჩევა, ვინაიდან ამ მთავარი რესურსის მოძრაობა, გავრცელება, გაცვლა-გამოცვლა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიურობის პირობებში ფიზიკურ საზღვრებსა და ხელოვნურ შეზღუდვებს არ ცნობს და არ ექვემდებარება; ეს გარემოება არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ხელი უნდა ავიღოთ ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებზე, რაც ჩვენსავე იდენტობას განსაზღვრავს; პირიქით – სწორედ ცოდნითა და ღირებული ინფორმაციით შეიარაღებულებმა ახალ პირობებში უნდა გამოვჭედოთ საკუთარი ბედი და კვლავაც მივსდით მარადიულ ქართულ დევიზს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მეოთხედი საუკუნის შემდგომაც სოფლის სტატუსის ახალი, თანამედროვე ფორმა ჩვენს სამართლებრივ სისტემას გამოქმენილი ჯერაც არა აქვს; მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, დამოუკიდებლობის აღდგენიდან უკვე მეხუთედ (!), ყოველ ჯერზე პრაქტიკულად ხელახლა, თავიდან ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმა (1997-98, 2001, 2005-06, 2010 და ბოლოს 2013-14 წწ.), მაგრამ სასოფლო თემი დღემდე არ წარმოადგენს რაიმე იურიდიული ფორმით სამართალ-სუბიექტს და ბუნებრივია, არც სათემო სამკვიდროს, რაც განსაკუთრებით სავალალოა, ჯეროვან პატრონად იგი არ გვევლინება.

2005-06 წწ. რეფორმის შემდგომ, როდესაც საბჭოთა რაიონის ნაცვლად პრაქტიკულად იმავე ტერიტორიაზე შეიქმნა მუნიციპალური თვითმმართველობა და შესაბამისად გაუქმდა ყოფილი რაიონის შემადგენლობაში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, უწინარესად – სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობა, სოფლის სამართლებრივი მდგომარეობა ჰაერში გამოეკიდა; ეს მიმე ვითარება შენარჩუნებულია დღესაც. 2013-14 წწ. რეფორმის შემდგომაც სოფელი, როგორც ცალკე სამართალ-სუბიექტი არ არსებობს და უარესიც: 2013 წელს მიღებულმა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა“ საერთოდ გააუქმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები, მათ სანაცვლოდ ერთპიროვნული მმართველის – გამგებლის ე.წ. წარმომადგენლის თანამდებობა შემოიღო, რითიც სოფლის, როგორც ჯერ კიდევ ფაქტობრივად შემორჩენილი ადმინისტრაციული ერთეულის არსებობას საფრთხე შეუქმნა.

დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ეს უკანასკნელი, მეხუთე რეფორმაც ჩავარდა. ჩავარდა თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ე.წ. რეფორმის ავტორთა მიერვე დეკლარებული მისი მთავარი მიზანი – „მოსახლეობასთან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაახლოება“, არ მიღწეულა და ვერც მიიღწევა.

ამ ვაი-რეფორმის ავტორთა მიერ ჩაფიქრებული „ტერიტორიული ოპტიმიზაცია“, რომლის შინაარსი დღეს არსებული მუნიციპალიტეტების (ყოფილი რაიონის ტერიტორია) დაშლა-დაქუცმაცებამდე დაიყვანება და სოფლის სტატუსს კვლავაც ჰაერში გამოკიდებულს დატოვებს, რასაკვირველია, იმთავითვე განწირული იყო ჩასაყარნად. იმის მაგივრად, რომ დადგინდეს ის ოპტიმალური სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც სოფლის თემს მუნიციპალურ თანასაზოგადოებაში საკუთარ ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს, განზრახული იყო ამ მუნიციპალური თანასაზოგადოების დაშლა-დაქუცმაცება და მის მაგივრად, სრულიად ხელოვნური, მექანიკური გაყოფის გზით ვითომ ახალი თანა-საზოგადოების შეკონინება; თანაც ისე, რომ მომხდარიყო პავლე ინგოროყვასეული დარაიონების პრინციპის, რომელიც სასოფლო და საქალაქო თემების ერთიან თანასაზოგადოებად ყოფნას გულისხმობს და ტრადიციულ ქართულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას („ქალაქი და მიმდებარე ესე სოფელი“) ინარჩუნებს, ხელაღებით რევიზია – ე.ი.

მუნიციპალიტეტის იმგვარად დახლენა, რომ საქალაქო და სასოფლო თემები ერთიმეორეს მოსწყდეს. აღარაფერს ვამბობ ხელოვნური დაყოფის გზით ეთნიკური უმცირესობების თემების მუნიციპალური თანასაზოგადოების გახლენის შედეგად პრაქტიკულად სეგრეგაციაზე, რასაც ეროვნული უსაფრთხოებისათვის მძიმე დარტყმის მიყენება შეუძლია;

ბუნებრივია, დღევანდელი ან თუნდაც უფრო მომცრო ტერიტორიული მასშტაბის მუნიციპალური თანასაზოგადოება რომ შედგეს, ჯერ მასში შემავალი თითოეული თემის (საქალაქო თუ სასოფლო) ღირსეული ადგილი უნდა გამოიძებნოს, უზინარესად თემის სამართლებრივი მდგომარეობა მკაფიოდ უნდა გაირკვეს; ამის სანაცვლოდ, სოფლის ამ ყველაზე მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტის მაგიერ, 2013 წლის ე.წ. თვითმმართველობის კოდექსით (მისმა უეცრმა ავტორებმა ისიც კი არ უწყიან, რომ მუნიციპალურ ურთიერთობათა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს, კომპლექსური შინაარსისაა და ამდენად, მისი მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების კოდიფიცირება წარმოუდგენელია. ამიტომაც ამ კანონის „კოდექსად“ გამოცხადება ის „ბავშვური“ შეცდომაა, რომელიც სტუდენტ იურისტსაც კი არ ეპატიება) მოხდა ე.წ. რეგიონული ცენტრების სრულიად ხელოვნური გამოყოფა მუნიციპალიტეტებიდან და ამით, ყოველად უსაფუძვლოდ მუნიციპალური თანასაზოგადოების გახლენა „ქალაქელებად“ და „სოფელელებად“; ამგვარი გადაწყვეტა ოდენ კუროზად უნდა მივიჩნიოთ და სამწუხაროდ, სწორედ ასე, კუროზულად გამოიყურება ე.წ. ტერიტორიული ოპტიმიზაცია.

სოფელი მარადიულია. მან ჟამთა ათასგვარ სიავეს, თვით კომუნისტურ ჯოჯოხეთსაც, გაუძლო და რაღა თქმა უნდა, ამგვარ ვაი-რეფორმებსაც, მართალია ძნელად, მაგრამ ღვთის შეწევნით – მაინც უძლებს. მაგრამ როდემდე?! დღეს ხომ საქართველო დამოუკიდებელია, ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთაა და აღარ უნდა დავასრულოთ სოფლის ბედის სასწორზე შეგდება და მისი სიმტკიცეზე გამოცდა?!

ქართველთა დღევანდელი თაობის ვალია, რომ ქართულ სოფელს, მის მარადიულ არსებობას საფუძველი განუმტკიცოს. სოფლის და მისი მკვიდრი თემის, სამართლებრივი მდგომარეობის (ანუ სტატუსის) შინაარსი ინვარიანტულია, არ სდევს ჟამთა ცვლას და ადრეული ნეოლითიდან, სასოფლო-სამეურნეო ცივილიზაციის ჩამოყალიბებით შექმნილი, ახალი ფორმით

უნდა გამჟღავნდეს ინდუსტრიულ და დღევანდელ, უკვე პოსტ-ინდუსტრიულ ეპოქაში. ყოველ ამ ეპოქაში სოფლის სტატუსის შინაარსი ის არის, რომ: ა) სოფელი და მისი თემი უფლებებისა და პასუხისმგებლობების მატარებელი ცალკე სუბიექტია და მას ეპოქის სათანადო იურიდიული ფორმა უნდა მიეცეს; ბ) ეს სუბიექტი – ე.ი. სოფლის თემი მისი სამკვიდროს სრულუფლებიანი პატრონია; ამგვარი პატრონობის მხოლოდ ტექნოლოგია ვითარდება და იცვლება ეპოქათა ცვლასთან ერთად და არა მისი არსი. სწორედ ეს არის ევროპული განვითარება – სოფლის მუდმივი შენება, ხოლო დღეს განსაკუთრებულად – ცოდნისა და ინფორმირებულობის, მაღალ-ტექნოლოგიურობის („ტექნოლოგიურობა“ ბერძნული სიტყვაა. ქართულად – „ოსტატობის გონს“ ნიშნავს!) საფუძველზე და არა მისი ყოფიერების პერიფერიაზე განდევნის (რომლის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ მუნიციპალური თანასაზო-



გადოების გახლენის გზით სოფლის ქალაქისაგან მოწყვეტა და ფაქტობრივად – მისი სეგრეგაცია, და უარესიც: დანგრევის მცდელობა.

რა არის ბასაქმიეზელი?

1. უზინარესად უნდა დადგინდეს მუნიციპალურ თანასაზოგადოებაში სასოფლო თემის ღირსეული ადგილი, მისი სამართალ-სუბიექტობა; დღევანდელ პირობებში ყველაზე უკეთ მას სოფლის მკვიდრ მესაკუთრეთა ამხანაგობის – კონდომინიუმის იურიდიული ფორმა შეეფერება; თვითმმართველობის შესახებ ორგანულმა კანონმა (და არა კოდექსმა, როგორც მას დღეს შეცდომით უწოდებენ) უნდა შექმნას თემის უფლებრიობის, ე.ი. ამ შემთხვევაში ამ კონდომინიუმის უფლებების სამართლებრივი საფუძვლები და გარანტიები;
2. აუცილებელია მიწათმფლობელობასთან და მიწათ-სარგებლობასთან თემის მიმართების გარკვევა იმ ფუ-

ქმედებლური პრინციპის გარანტირებით, რომ თემი საკუთარი სამკვიდროს სრულუფლებიანი პატრონია. ეს სამართლებრივად უნდა უზრუნველყოს როგორც თვითმმართველობის შესახებ ორგანულმა კანონმა, ასევე მინის კოდექსმა (აი, სწორედ ამ სფეროში – ე.ი. მინის საკუთრების, მიწათ-სარგებლობის, მიწათ-მონყოფის, მიწათ-მართვის სფეროშია აუცილებელი საკანონმდებლო ნორმების კოდიფიცირება, ე.ი. მინის კოდექსის სასწრაფოდ შემუშავება და მიღება!);

3. თვითმმართველობის რეფორმირებასთან ერთად აუცილებელია გარდადეს მინის რეფორმა, რომელიც სოფლის თემს მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობაში გადასცემს მის სამკვიდროს – საერთო სარგებლობის საძოვარს, სათიბს, სოფლის სარეზერვო სასოფლო-სამეურნეო მიწას, შიგა-სამეურნეო გზების მიწას, სოფლის შიგა ინფრასტრუქტურისათვის აუცილებელ არასასოფლო-სამეურნეო მიწას, აგ-

რეთვე მიმდებარე ტყეს, ქალას, მდინარესა თუ ნყაროს. ეს რომ მოხდეს, აუცილებელია სახელმწიფო მინის მასშტაბური მუნიციპალიზაცია; სახელმწიფო არ შეიძლება თანამედროვე პირობებში ყველაზე მსხვილ და გიგანტურ მიწათმფლობელად რჩებოდეს; მას საკუთრებაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ის მიწა, რაც აუცილებელია კონკრეტული სახელმწიფო კომპეტენციების განსახორციელებლად; დანარჩენი მიწა, რომელიც საზოგადოებრივი დანიშნულებისაა და პრივატიზებას არ ექვემდებარება, მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეს საკუთრებაში და თემების მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობაში იყოს;

4. აუცილებელია სოფლის განვითარების მეცნიერულ ცოდნასა და სათანადო, ღრმა ინფორმირებულობაზე დაფუძნებული დაგეგმარება. უზინარესად ეს შეეხება მის სივრცით მონყოფას, მიწათსარგებლობისა და მიწათმონყოფის დაგეგმარებას. საუბედუროდ, ამ მხრივ

არაინფორმირებულობა კრიტიკულ დონეს ჩამოსცდა – აღარ გროვდება და არც მოიპოვება ინფორმაცია მიწათ-სარგებლობისა და ტერიტორიების გამოყენების სფეროში. არადა, არაინფორმირებულობა საინფორმაციო ეპოქაში ნებისმიერი რესურსის, მათ შორის უნიწარესად მიწის კატასტროფულ გაუფასურებას განაპირობებს; ამ ინფორმაციის შეგროვება, სელექცია, დახარისხება და რეტროსპექცია სისტემურ საფუძვლებს უწდა დაუბრუნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარ რაციონალურ დაგეგმარებაზე საუბარიც კი ზედმეტია!

აქ მოყვანილი გადაუდებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რასაკვირველია, არასრულია. სოფელი შევლას ითხოვს და საშველის პოვნას როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური სასოფლო პოლიტიკის შექმნა სჭირდება!

ბაბაბა კოლუაშვილი,
საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
დავით ზარდიაშვილი,
ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კოლუაშვილი, ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალთ, „მერიდიანი“ თბ. 2013 წ.
2. პ. კოლუაშვილი, დ. ზარდიაშვილი, მიწის საკითხი ანუ ბედი ამა ქვეყნისა, „ახალი აგრარული საქართველო“, №6(62), 2016 წ.
3. პ. ინგოროყვა, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. „საქართველო“, თბ. 1920 წ.
4. პ. კოლუაშვილი, სოფელი მარადიულია, „ახალი აგრარული საქართველო“, №9 (65), 2016 წ.

„რატექსი“ მღრღნელების წინააღმდეგ



სხვადასხვა სახის ვირთაბვები და თაბვები (ემინდვრიები, ზაზუნები და სხვა) მავნებელ მღრღნელებს განეკუთვნებიან. ისინი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყენებენ ფერმერის მიწის ნაკვეთებში. სანიტარული თვალსაზრისით საშიში არიან.

მღრღნელები გამოირჩევიან სწრაფი გამრავლების უნარით. განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში, მაგ.: წყვილ რუხ ვირთაბვას წელიწადში 800 ნაშიერის მოცემა შეუძლია, ხოლო სიცოცხლის 3 წლის განმავლობაში – 20 მილიონზე მეტის.

ემინდვრიები მრავლდებიან უფრო სწრაფად, 4 ემინდვრიას (2 დედალი და 2 მამალი) თავიანთი ბუდობით, კარგი პირობების ზეგავლენით შეუძლია შთამომავლობა წელიწადში მილიარდზე მეტზე აიყვანოს. ემინდვრიები სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ დაბადებიდან 30-ე დღეს. მკვება გრძელდება 18-20 დღე, ხოლო წრუნუნების რაოდენობა ათამდეა.

თავისნაირი მღრღნელები (ვირთაბვები და თაბვები) წარმოადგენენ მრავალი დაავადების აღმძვრელთა მუდმივ წყაროსა და რეზერვუარს. თუ არ ჩატარდა ყოველწლიური დერატიზაცია ყანებში, საწყობებში, სოროებში, მაშინ მღრღნელებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი ათეული მილიონობით ლარით გამოიხატება. ანადგურებენ როგორც მოსავალს, ასევე – მატერიალურ ფასეულობას.

ერთი ზრდასრული ვირთაბვა დღე-ღამეში 40-50გრ. მარცვალს ჭამს,

წელიწადში 14,6კგ-19კგ-მდე, თაბვი დღეში 4გრ მარცვლეულს ჭამს, წელიწადში 1,5კგ-ს.

ემინდვრიებს შეუძლიათ მთლიანად გაანადგურონ მარცვლეულის მოსავალი.

ჩვენს ქვეყანაში დერატიზაცია მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვან რგოლად უწდა ჩამოყალიბდეს.

გამანადგურებელი ღონისძიებები მღრღნელების წინააღმდეგ ტარდება ქიმიური, მექანიკური, ბიოლოგიური და კომბინირებული მეთოდებით.

მინდვრებში, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში თავისნაირი მღრღნელების გასანადგურებლად წარმატებით გამოიყენება ანტიკოაგულიანტის ტიპის პრეპარატები: „რატექსი“ და „რეტსკილერი“.

ანტიკოაგულიანტებს აქვთ გარკვეული უპირატესობა ძლიერ მოქმედ შესამებთან შედარებით. „რატექსი“ და „რეტსკილერი“ გამოიყენება ისეთი მცირე დოზებით, რომ პრაქტიკულად მინიმუმამდე დაყვანილი ცხოველების მონამვლა მათი შხამიანი მისატყუებლის უნებლიე მიღების შემთხვევაში. ამის გარდა, აღნიშნულ შესამებს აქვთ თავიანთი შხამსაწინააღმდეგო ვიტამინი „K“, ამდენად, პრეპარატები ნაკლებ საშიშია მეცხოველეობის ფერმებში მღრღნელთა წინააღმდეგოდ გამოსაყენებლად.

გარდა ამისა, ძლიერი მოქმედი შხამიანი მისატყუებელი (თუთიის

ფოსფიდი და მსგავსები), ხშირად მღრღნელების ორგანიზმში ინვეცს დამცველობით რეფლექტურ რეაქციას. ზოგჯერ თაბვები, ვირთაბვები ვიდრე შხამის სასიკვდილო დოზას მიიღებდნენ მანამდე წყვეტენ მისატყუებლის ჭამას, რაც მკვეთრად ამცირებს დერატიზაციის ეფექტურობას. „რატექსი“ და „რეტსკილერი“ ასეთ რეაქციას არ ინვეცს, რასაც მივყავართ დერატიზაციის უკეთეს შედეგებამდე.

აქედან გამომდინარე, მინდვრებში, მარცვლეულის საწყობებში, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში ეს პრეპარატები წარმოადგენს ყველაზე რაციონალურ გზას მღრღნელების გასანადგურებლად.

აღნიშნული პრეპარატები სამომხმარებლო ბაზარზე მონოდებულია როგორც მზა სახის, ასევე მისატყუებლის დასამზადებლად.

მღრღნელების გასანადგურებელ სატყუარას დასამზადებლად პროდუქტების შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. სასურველი შედეგების მისაღწევად პროდუქტი უწდა იყოს კარგი ხარისხის და მღრღნელებისთვის მიმზიდველი.

პრეპარატების გამოყენების შესახებ მონაცემების ნახვა შესაბამის ინსტრუქციებში შეიძლება.

მინაილ ჭიჭავაძე,
„მომავლის ფერმერის“
მთ. ვეტკონსულტანტი, ბიოლოგიის დოქტორი



აღვადგინოთ მინდვრის კულტურების აგროტექნიკური ღონისძიებები კოლხეთის დაბლობზე

კოლხეთის დაბლობის გუნებრივი პირობები სპეციფიკურია და მას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. ამიტომ ამ პირობებში სოფლის მეურნეობის გააქვლის სისტემა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსური სპეციფიკური უნდა იყოს.

ამ პირობებში უნდა განხორციელდეს ისეთი ტექნოლოგიები, რომელიც გამოორიცხავს დაშრობილი მიწების ისევე დაჭაობებას, უზრუნველყოფს ნიადაგის გაკულტურებას, მისი ნაყოფიერების ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ეს ტექნოლოგიები დამუშავებულია ი. ლომოურის მინათ-მოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჯამეთის, ნოსირის და ხობის საცდელ სადგურებში. შედეგები გამოქვეყნებულია და დანერგულია წარმოებაში, მაგრამ სამწუხაროდ დღეისათვის მათ განხორციელებას ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, რამაც განაპირობა ამ წერილის თქვენ შურნალში გამოქვეყნება.

ქვემოთ წარმოგიდგინებთ კოლხეთის დაბლობზე ჩასატარებელი ღონისძიებების მოკლე ანოტაციებს.

1. პერიოდულად უნდა მოსწორდეს ძირითადი მაგისტრალური არხების ნაპირებთან არხიდან ამონაწმენდი მიწით წარმოქმნილი შემალღებები, რომლებიც ფართობიდან არხში წყლის ჩადინებას აფერხებს. მოჭრილი მიწა გატანილი უნდა იქნას ფართობის ცენტრალური ნაწილისაკენ იმ ვარაუდით, რომ შეიქმნას ფართობის შუა ნაწილიდან მთავარი სანრეტი არხისკენ ორმხრივი თანაბარი დაქანება.

2. ნიადაგის ზედაპირი უნდა მოსწორდეს, მოისპოს ჩადაბლებული ად-

გილები, სადაც წყალი დიდხანს დგება და აფერხებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მუშაობას, ხელს უშლის სამუშაოების ოპტიმალურ ვადებში ჩატარებას, მაშინ როცა ფართობის დიდი ნაწილი გამშრალია.

3. ნიადაგი არსებული და აკუმულირებული საკვები ნივთიერებების მობილიზაციისა და ამოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ჰაერაციის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებას, როგორცაა სხვადასხვა მიმართულებით ხვნა, სახნავი ფენის თანდათანობით დაღრმავება, სათოხნი კულტურების ხშირი და ღრმა კულტივაცია და სხვა.

4. გარდა ზღვისპირა და რიონისპირა სილნარ-ქვიშნარი და ხირხატიანი ნიადაგებისა, ნიადაგის მოხვნა უნდა ჩატარდეს ზამთრის ბოლოს (რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება წვიმების გამო), ან ადრე გაზაფხულზე, პირველი შესაძლებლობისთანავე, რადგან შემოდგომის ხნული გაზაფხულზე ისევე მოსახნავი ხდება, რაც აგვიანებს თესვას.

5. იქ, სადაც საჭირო არ არის, თავი უნდა შევიკავოთ ნახევრადსფერული კვლების მოწყობაზე, რადგან იგი გამოორიცხავს მექანიზაციის სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობას, გვაძლავს ხვნა და სხვა სამუშაოები ჩავატაროთ ყოველთვის ერთი მიმართულებით. შემალღებულ კვლებს შორის არსებული სანრეტი კვალი მოითხოვს მიწისა და სარევე-

ლებისაგან სისტემატურ წმენდას, რაც დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. გარდა ამისა კვლის გაკეთების დროს, მის დაბალ ნაწილში მთლიანად იჭრება სახნავი ფენა და დედა ქანი შიშვლდება, რომლის გაკულტურებას დიდი დრო ჭირდება. კვლების აუცილებლობის შემთხვევაში უმჯობესია მისი მუშა-სასარგებლო განი რაც შეიძლება გადიდდეს (50 მეტრამდე)

6. ბელტიანი ხნულის თესვისწინა დამუშავება ითვალისწინებს ხნულის შემრობისთანავე ბელტის დაჭრას უფრო წვრილ ნაწილებად დისკობიანი იარაღის ერთჯერადი ან ორჯერადი გატარებით. მცირე ზომის ბელტები ხანმოკლე გამოდარების შემთხვევაშიც კი ადვილად შრება და შემდეგ მცირე დასველებითაც ადვილად იშლება და თესვის წინა კულტივაციის შემდეგ მიიღება სწორი ზედაპირის მქონე ფხვიერი ხნული, რაც თესლის თანაბარ სიღრმეზე ჩათესვისა და თანაბარი აღმოცენების მიღების ძირითადი პირობაა.

7. კოლხეთის ჭარბტენიან პირობებში სიმინდის ყველაზე კარგი წინამორბედაა მრავალ წლიანი ბალახები და მათი ნარევეები (კორდი) და სოია, იონჯა. კონდრისა და სამყურა კონდრის ორწლიან კორდზე სიმინდის მარცვლის თითქმის ისეთივე მოსავალი მიიღება, როგორც მინერალური სასუქების სრული დოზის გამოყენების შემთხვევაში. მოსავალი იზრდება ნასიმინდართან შედარებით კორდზე 20-25%-ით, ხოლო ნასოიარზე 25-30%-ით. მოსავლის მატება ხდება ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესებისა და ბიოლოგიური აზოტის დაგროვების ხარჯზე. ე.ი. აღნიშნული წინამორბედების

შემდეგ სიმინდის თესვა მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

8. ამავე პირობებში სიმინდის, როგორც მარცვლის, ისე სასილოსე მწვანე მასის მაღალი მოსავლის მიღებისათვის მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზებია **N120-150 P90-100K60**. ფოსფორ-კალიუმის სასუქები შეტანილი უნდა იქნეს ნიადაგის მოხვნის წინ, ან თესვის დროს, ხოლო აზოტის დოზის ერთი მესამედი თესვის, ხოლო ორი მესამედი ნათესის პირველი და მეორე კულტივაციის დროს. სოიას კულტურის ქვეშ აზოტის სასუქის შეტანა საჭირო არ არის, რადგან აზოტზე მოთხოვნილებას მცენარე იკმაყოფილებს ნიადაგში არსებული მარაგისა და ჰაერიდან ფიქსირებული ბიოლოგიური

ნორმით უდრის შესაბამისად 60-70 და 120-140 კმ-ს.

10. კოლხეთის დაბლობის მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგის გაფხვიერების და სტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სიმინდის, სოიას და შუალედურ კულტურად ნათესი ტურნეფის თესვის შემდგომი გაფხვიერება მსუბუქებილებიანი ფარცხით. დაფარცხვა ტარდება ნათესის განივად. გარდა აღნიშნულისა ეს ღონისძიება სპობს ახლად აღმოცენებულ და აღმოცენების პროცესში მყოფ სარეველებს და თავიდან გვაცილებს ტურნეფის ნათესის გამოხშირვას. ზოგ შემთხვევაში იგი ერთი თოხნის მოვალეობასაც კი ასრულებს.

11. სიმინდის ნათესში მრავალწლიანი ფესურიანი და ფესვთნაყარი

განმავლობაში დაფარულია მთლიანად მოთესილი კულტურების მწვანე მასით და განიცდიან სინათლის მნიშვნელოვან დეფიციტს, რის გამოც ფერხდება ფოტოსინთეზის პროცესი. მცენარეები სუსტდება და ილუპება. ამასთან ერთად მიიღება სილოსის ან მწვანე მასის ორი მოსავალი.

12. სიმინდის მცენარის 4-5 ფოთლის ფაზაში შეიძლება გამოვიყენოთ სიმინდის ჰერბიციდები, სახელდობრ: ნიკოში - 1,0-1,5 ლ/ჰა, ნოკო-ფურონი - 1,0-1,5 ლ/ჰა, ჰექტორმასი - 0,6 ლ/ჰა, სტელარი - 1,1 ლ/ჰა. წინამორბედი კულტურის ნანევრალზე გამოიყენება ტოტალური ჰერბიციდები: ტორნადო 2-3 ლ/ჰა, ნოკდაუნი 4,6 ლ/ჰა, ურავან ფორტე - 3,0 ლ/ჰა და სხვა. გამოყენების ოპტიმალური ვადაა აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის მეორე ნახევრამდე. ამიტომ მისი შეტანა უნდა მოხდეს იმ წინამორბედების შემდეგ, რომლებიც აგვისტოს ბოლომდე ათავისუფლებენ ნაკვეთს.

13. მრავალწლიანი ბალახების და მისი ნარეგების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლხეთის დაბლობების აღმოსავლეთ ნაწილში უმჯობესია ვთესოთ იონჯისა და კოინდარის ნარევი, ტიპიურ კოლხეთის დაბლობზე კი სამყურასა და კოინდარის ნარევი, რაც მეტ მოსავალს იძლევა. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ სამყურა კოლხეთის პირობებში ძნელად შრება, ღერო და ფოთლები შავდება და თივა უხარისხო გამოდის, ამ პირობებში თივის მისაღებად იონჯისა და კოინდარის ნარევის თესვა დასაშვებად უნდა ჩაითვალოს. სამყურა უმჯობესია ვთესოთ მწვანე მასის, სენაჟის და ვიტამინოვანი ფქვილის მისაღებად.

კოლხეთის დაშრობილ მიწებზე მრავალწლიანი ბალახები ითესება 2-3 წლის სარგებლობის ვადით, ვინაიდან შემდეგ ნათესი მეჩხერდება და შესაბამისად მცირდება მოსავალი. კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში კი იონჯის სარგებლობის ვადა 5-6 წლით განისაზღვრება.

14. ბალახნარეგების ქვეშ საჭიროა მინერალური სასუქების ერთხელ თესვის წინ და ისიც აზოტის მცირე დოზის (**N₆₀ P₁₂₀ K₆₀**) შეტანა. სხვა რეგიონებთან შედარებით კოლხეთის პირობებში მრავალწლიანი ბალახების თესვის ნორმა უნდა გაიზარდოს. სუფთად თესვის დროს იონჯა და



აზოტის ხარჯზე. სიმინდის კულტურის ქვეშ ეფექტურია სიდერაციის გამოყენებაც. ღონისძიების არსი იმაში მდგომარეობს, რომ წინა წლის შემოდგომაზე (ოქტომბერი) 120-130 კგ/ჰა ნორმით ნათესი ცერცველას მწვანე მასა (200-250ც) უნდა ჩაიხნას ნიადაგში აპრილის ბოლოს, ან მაისის დასაწყისში. ეს ღონისძიება სიმინდის მარცვლის მოსავლის ზრდის პირველ წელს 12-15 ცენტნერით, ხოლო მეორე წელს 4-6 ცენტნერით ჰექტარზე უნდა განხორციელდეს.

9. სიმინდის ჯიშები და ჰიბრიდები უნდა დაითესოს შემდეგი სიშორით: აჯამეთის თეთრი, აბაშის ყვითელი, გეგუთის ყვითელი, ადგილობრივი თეთრი ნახევარკბილა, იმერული ჰიბრიდი 44-46 ათასი, ლომთაგორა 1 და ლომთაგორა 2 - 75-76 ათასი მარცვალი ჰექტარზე. სამარცვლე სოიას თესვის ოპტიმალური ნორმაა 250-300 ათასი ჰექტარზე, ხოლო მწვანე მასის მისაღებად 500-600 ათასი გალივების უნარის მქონე თესლის თესვა ჰექტარზე, რაც წონითი

სარეველების (შლაფა, ჭანგა, გლერტა) წინააღმდეგ, გარდა ქიმიური ღონისძიებებისა შეიძლება გამოვიყენოთ აგროტექნიკური ღონისძიებაც. ღონისძიების არსი მდგომარეობს შემდეგში: შემოდგომაზე (ოქტომბერი) ნაკვეთის განთავისუფლებისთანავე შუალედური სახით ითესება შვრიისა (60-80 კგ/ჰა) და რომელიმე ერთწლიანი პარკოსანი კულტურის ნარევი ცერცველა 80-100 კგ/ჰა, ბარდა 140-160კგ/ჰა ან ცულისპირა (100-120 კგ/ჰა). მაისის შუა რიცხვებში მწვანე მასის აღების შემდეგ ნიადაგი იხვნება სრულ სიღრმეზე, მუშავდება დისკოებიანი იარაღით, თანმიყოლებული ფარცხით და მთლიან მოთესვით ითესება სუდანურა სოიას, ან სოია სიმინდის ნარევი (სუდანურა 15-20 კგ, სოია 30-40 კგ, სიმინდი 30-35 კგ/ჰა) სასილოსედ ან მწვანე საკვებად. მისი გათიბვისთანავე ტარდება ხვნა 18-20 სმ-ის სიღრმეზე ცხელი ამინდის პირობებში. როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში სარეველა მცენარეები ხანგრძლივი დროის

სამყურა ითესება 20კგ/ჰა, კონდარი 40 კგ/ჰა, ხოლო ნარევი თესვისას როგორც პარკოსნები, ისე კონდარი 16 კგ/ჰა. თესვის ოპტიმალური ვადა სექტემბერი. რაიმე მიზეზის გამო შემოდგომაზე თესვა თუ ვერ მოხერხდა შეიძლება გაზაფხულზე თესვაც, მაგრამ გაზაფხულზე თესვას ის ნაკლები აქვს, რომ ნათესი პირველ წელს მწვანე მასის და თივის შედარებით მცირე მოსავალს იძლევა. ამავე დროს გაზაფხულზე ნათესი ძლიერ სარეველიანდება და საჭირო ხდება მისი ნაადრევად გათიბვა.



15. პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით მეცხოველეობის მსხვილ კომპლექსებთან და ფერმებთან უნდა მოენყოს მწვანე კონვეიერი. იგი ითვალისწინებს მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის ზამთარშიც საკვები კულტურების სამი მოსავლის მიღებას მწვანე და წვნიანი საკვების სახით.

ი.ლომოურის მიწათმოქმედების სამეცნიერო ინსტიტუტის მონაცემებით კოლხეთის დაბლობზე, მწვანე კონვეიერის მოწყობისას რეკომენდებულია კულტურათა შემდეგი მორიგეობა.

პირველი მოსავლის მისაღებად ძირითადი საგაზაფხულო კულტურის

მოსავლის ალების შემდეგ (ოქტომბერი) შუალედურ კულტურად ითესება შვრიანარევი ცერცველა, ცულისპირა ან ბარდა (შვრია 60-80კგ/ჰა, ცერცველა 80-100კგ/ჰა, ცულისპირა 100-120 კგ/ჰა ან ბარდა 140-160 კგ/ჰა), რომლის მწვანე მასის მოსავლის ალების შემდეგ (მაისი), მეორე მოსავლის მისაღებად ითესება სოია ან სიმინდი სასილოსედ, ხოლო მისი ალების შემდეგ (აგვისტო) მესამე მოსავლის მისაღებად დაითესება შუალედური კულტურები: რაფსი (10-12 კგ/ჰა) და ტურნეფსი (2-3 კგ/ჰა). რაფსი მწვანე მასის პირველ მოსავალს იძლევა ნოემბერში, ხოლო ტურნეფსი მწვანე საკვებად შეიძლება გამოვიყენოთ საჭიროების მიხედვით მთელი ზამთრის განმავლობაში.

მწვანე კონვეიერის მოსაწყობად უნდა შეირჩეს ფერმის ახლოს მდებარე სარეველებისაგან სუფთა შედარებით ნაყოფიერი ნაკვეთი. რაფსი ითესება მთლიანმოთესვით, ტურნეფსი – მწკრივად.

*შპს „აგროსამეცნიერო ჯგუფი ლომთაგორა“
კახა ლაშვი, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;
ზაურ ჯულახიძე, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი;
ზურაბ ჭინჭინაძე, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი*

კვლევა

სიმინდის ტრადიციული ჯიშების მოკლე დახასიათება და სერტიფიცირების თავისებურებანი

მოსახლეობის ზრდისა და გლობალური დათბობის ფონზე მსოფლიოში სოფლის მეურნეობის წინაშე უამრავი მტკიცებელი საკითხები იკვეთება, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადი მარცვლადი კულტურების იმ რაოდენობით წარმოებაა, რომ მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოხერხდეს. ძირითად მარცვლად კულტურებს შორის სიმინდიცაა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მარცვლადი კულტურაა მთელ მსოფლიოში. ის ნათესი ფართობებისა და წარმოების მოცულობის მიხედვით ხორბლის შემდეგ მეორე ადგილზეა.



შები საკმაოდ კარგი მოსავლიანობით და მაღალი კვებითი ღირებულებით გამოირჩეოდნენ. მათი დარაიონება 1930-1950 წლებში მოხდა.

ამ ჯიშებიდან კერძო ფერმერულ მეურნეობებსა თუ ოჯახებში შე-

სიმინდის დიდი ფართობებით გამოირჩევა არგენტინა, ბრიტანეთი, რუსეთი და უკრაინა. სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალა (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შპს-ს, რომლებიც სიმინდის ჰიბრიდულ სათესლე მასალას აწარმოებენ) სრულად იმპორტირებულია. იგი ძირითადად აშშ-დან გერმანიიდან და საფრანგეთიდან შემოდის.

სიმინდის წარმოების გეოგრაფია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს, თუმცა ნათესი ფართობებისა და მოსავლის ოდენობით აშკარა ლიდერი დასავლეთ საქართველოა. სელექციური სამუშაოების შედეგად, რომელსაც გასული საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი აკადემიკოს ლ.ლ.დეკაპრელივიჩის თაოსნობით, შეიქმნა არაერთი ადგილობრივი ჯიშო. ეს ჯი-

გთავაზობთ გამორჩეული ჯიშების მოკლე დახასიათებას ცხრილის სახით:

ჯიშის სახელწოდება	დარაიონების წელი	დარაიონების წელი	ტაროს მდგრ. სიმაღ. (სმ)	მუხლები რ-ბა (ცალი)	ფოთლების რ-ბა (ცალი)	ტაროს სიგრძე (სმ)	ნაქურის ფერი	მარცვლის ტიპი	საშ. მოსავლიანობა ტ/ჰა
იმერული ჰიბრიდი	1931	250-330	120-155	14-16	18-22	20-22	თეთრი	Z.m.indurata	5-5,5
აჯამეთის თეთრი	1938	230-270	110-140	14-16	18-22	18-24	თეთრი	Z.m.semidentata	3-4
აბაშური ყვითელი	1938	200-300	100-130	14-16	18-22	18-24	თეთრი	Z.m.semidentata	4-5
გეგუთის ყვითელი	1949	186-244	90-100	12-14	16-18	18-20	თეთრი	Z.m.semidentata	3-4
ქართული კრუგი	1949	200-320	100-140	14-16	16-20	19-22	ვარდისფერი	Z.m.indentata	6-8
კაჟოვანა თეთრი	1933	130-180	40-72	7-9	12-14	12-19	თეთრი	Z.m.indurata	2-4
კაჟოვანა ყვითელი	1940	120-170	35-68	7-9	12-14	10-14	თეთრი	Z.m.indurata	2-3

მორჩენილია თითქმის ყველა ჯიში, „იმერული ჰიბრიდისა“ და „გეგუთის ყვითელის“ გარდა. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯვარედინმტვერია მცენარეთა ჯიშები, რომელთა გენეტიკური ეროზია ძალიან ადვილად მიმდინარეობს, შემოინახა თვითონ მოსახლეობამ ამ ჯიშების უნიკალურობის გამო. ეს ჯიშები ხასიათდება ადაპტაციის მაღალი უნარით, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ მაღალი გამძლეობით, მაღალი სასურსათე თვისებებით, ცილის მაღალი შემცველობით.

2000 წლიდან საქართველოში დაიწყო სიმინდის ჰიბრიდული სათეს-

გართულებულია, ისევე როგორც გაძნელებულია მათთვის რისკების შეფასება ახალ ბაზრებზე შესვლისა და თავიანთი პროდუქციის გატანისათვის, ევროკავშირის მაღალკონკურენტული ბაზრის პირობების გათვალისწინებით. ამდენად, კომპლექსური ღონისძიებებით ჯაჭვის შექმნისათვის DCFTA-ს (შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ) თანახმად, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პოტენციური სარგებლის სრულად გამოყენება. ამის გათვალისწინებით, 2014 წელს შეიქ-

ტებისა და სერთიფიცირების კვლევის სამსახური მუშაობს პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს სიმინდის ტრადიციული ჯიშების დახასიათებას ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო გაერთიანების (UPOV) -ის მეთოდის მიხედვით. დასახასიათებლად შერჩეული იყო სიმინდის სამი ჯიში: აჯამეთის თეთრი, კაჟოვანა თეთრი და კაჟოვანა ყვითელი. 2015 წელს მოძიებული და იდენტიფიცირებული იქნა არსებული ჯიშები, 2016-2017 წელს (UPOV)-ის მეთოდის მიხედვით დახასიათების შემდეგ ისინი შეტანილი იქნება გასავრცელებლად დაშვებული ჯიშების ეროვნულ კატალოგში.

სტატისტიკურმა კვლევებმა, რომელიც ჩატარდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CZDA) მიერ, გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ბოლო 2-3 წელია მესიმინდობაში სასიკეთო ძვრები შეინიშნება, მთავრობა მეტ ყურადღებას უთმობს ამ კულტურას და მის მეთესლეობას. აქედან გამომდინარე, ბაზარზე სრულფასოვანი კონკურენციის შექმნის აუცილებელი პირობაა სერტიფიცირება და მასთან დაკავშირებული პროცედურები. ეს პროცედურები ეხება როგორც სიმინდის ჯიშებს, ასევე ჰიბრიდებს და ჰიბრიდების მშობელ თვითდამტვერილ (ინბრედ) ხაზებს.

სერთიფიცირების თავისებურებანი

სათესლე მასალის სერთიფიცირებისათვის აუცილებელია:

- მინდვრული ინსპექტირების ჩატარება სათესლე ნაკვეთის ჯიშობრივი კონტროლის მიზნით;



ლე მასალის ფართოდ წარმოება და შემოტანა უცხოეთიდან. ეს ფაქტი იმითაა გამოწვეული, რომ ჰიბრიდები 70%-ით მეტი მოსავლიანობით ხასიათდებიან, ვიდრე ჯიშები. ამ პროცესმა საშიშროება შეუქმნა სიმინდის უნიკალური ჯიშების ისედაც შემცირებულ გენოფონდს.

საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება წარმოადგენს ევროპაში ინტეგრაციისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ევროკავშირის სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილება ინდივიდუალური ფერმერებისთვის

მნა „თესლის და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერთიფიცირების კვლევის სამსახური“, რომლის მიზანია მარცვლულ კულტურათა სათესლე მასალის სერთიფიცირების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იმისათვის, რომ ფერმერმა რომელიმე კონკრეტულ ჯიშზე მეთესლეობა ანარმოს, ეს ჯიში დარეგისტრირებული უნდა იყოს გასავრცელებლად დაშვებული ჯიშების ეროვნულ კატალოგში.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თესლის და სარგავი მასალების სტანდარ-

● თესლის თესვითი ღირსების კონტროლი, რომლის დროსაც ხდება სათესლე მასალის სინმინდის, აღმოცენების უნარის, ტენიანობის და სხვა მახასიათებლების განსაზღვრა ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საერთაშორისო სექმის სტანდარტებიდან გამომდინარე, რომელსაც ეფუძნება მეთესლეობის სფეროში საერთაშორისო ვაჭრობის მექანიზმი, ინსპექტირება უნდა ჩატარდეს შესაბამის პერიოდში, ანუ იმ დროს, როცა უკეთ შეიძლება განისაზღვროს მცენარეთა ის ნიშანთვისებები, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს ჯიშის ჯიშობრივი სინმინდის ხარისხი, კერძოდ ყვავილობის ინტენსივობა და ქეჩეჩოს ხელოვნური კასტრაციის დრო (ჰიბრიდებსა და ინბრედ ხაზებში).

სიმინდის ინსპექტირების დროს სტანდარტული ინფორმაციის გარდა ინსპექტორი ვალდებულია მოითხოვოს მინდვრის რუქა, რომელშიც დატანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- კულტურის სახელწოდება, რომელითაც დაკავებული იყო სათესლე ნაკვეთი წინა წელს;
- საიზოლაციო მანძილი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული, რათა არ მოხდეს მცენარეების გენეტიკური დაბინძურება არასასურველი მტვრით.

ჯიშების სათესლე ნაკვეთებში ჯიშური სინმინდის დადგენის მიზნით არატიპური მცენარეების გამოვლენა ხდება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- მცენარის სხვადასხვა ნაწილების შეფერილობის ინტენსივობა;



- მცენარის სიმაღლე;
- ტაროს ზომა, ფორმა და დახრილობა ღეროსთან მიმართებაში;
- ფოთლის სიგრძე, სიგანე და ორიენტაცია;
- ტაროს თმის ფერი;
- ქეჩეჩოს სტრუქტურა და ფერი.
- მოსაზღვრე რიგებში მტვრის გამავრცელებელი მოყვავილე ქეჩეჩოების % -ული რაოდენობა;
- მშობელ ფორმათა მწკრივების მორიგეობის სქემა;
- არატიპური მცენარეები, რომლებიც ავრცელებენ მტვერს (როგორც დედა, ისე მამა ფორმებიდან).

ჯიშობრივი სინმინდის დადგენის შემდეგ, ფერმერების მიერ უკვე სათესლედ გამზადებული პარტიებიდან, საჭიროა ალებული იქნეს საანალიზო თესლის ნიმუში. ყოველი თესლის პარტიაზე, რომელთა წონა კულტურების მიხედვით განსხვავებულია (სიმინდი-40ტ), აიღება ერთი ნიმუში და ჩატარდება თესლის ხა-

რისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა.

მისასალმებელია, რომ დღეს საქართველოში მოღვაწე ფერმერებმა, რომლებიც აწარმოებენ სიმინდის ტრადიციული ჯიშების, ჰიბრიდებისა და სერტიფიცირების თუ მშობელი ხაზების თესლს, თესლის და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერტიფიცირების კვლევის სამსახურთან უშუალო თანამშრომლობით 2015 წელს მიიღეს ჯიშობრივი სინმინდის დამადასტურებელი სერთიფიკატები. 2016 წლის მონაცემებით გაზრდილია ამ კულტურის სათესლე ფართობები საქართველოში და გარდა ამისა, არიან ფერმერები, რომლებიც აწარმოებენ სიმინდის ჰიბრიდების სათესლე მასალას საექსპორტოდ.

იმედია, მომავალში კიდევ გაიზრდება ამ კულტურის ჰიბრიდებისა და ჯიშების ნათესი ფართობები და მეთესლეობის მწარმოებელ ფერმერთა რიცხვი საქართველოში.

თინა კოშაძე, ანა დევიძე

სიმინდის ტრადიციული ჯიშების მოკლე დახასიათება და სერტიფიცირების თავისებურებანი

თინა კოშაძე, ანა დევიძე

საქართველოში დღემდე შემორჩენილია სიმინდის უძველესი ჯიშები, რომლებიც დახასიათებულნი იქნებიან UPOV-ის მეთოდით, რის შემდეგაც ისინი შეგვიძლია შევიტანოთ გასავრცელებლად დაშვებული ჯიშების ეროვნულ კატალოგში. 2016 წელს, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში გაიზარდა სიმინდის ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლის წარმოება, რაც ამ კულტურის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

BRIEF DESCRIPTION OF THE ENDEMIC SPECIES OF CORN AND CERTIFICATION PECULIARITIES
TINA KOSHADZE, ANA DEVIDZE

Traditional varieties of Maize which are extant in Georgia should be characterized according to UPOV methodology. After which it will enter into the National Catalogue of Agricultural Varieties. In 2016, compared to previous years, seed production of varieties and hybrids of Maize increased in Georgia, which indicates the importance of this culture.

დაფნის გაშენება



კეთილშობილი დაფნა (**LAURUS NOBILIS**) ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა. მას მრავალმხრივი გამოყენება აქვს. დაფნის ხმელ ფოთოლს ძველი დროიდანვე იყენებდნენ კულინარიაში, საკონსერვო წარმოებაში როგორც საკაზმს, ხოლო დაფნის ფოთლიდან მიღებულ ეთერზეთებს საკონდიტრო წარმოების გარდა იყენებენ პარფიუმერიაში, ცხიმოვანი ზეთები კი დიდ გამოყენებას პოულობს ვეტერინარიაში სამკურნალოდ.

დაფნა საუკეთესო მარადმწვანე დეკორაციული მცენარეა. რეკომენდებულია ქარსაფარი წარმოებისათვის და ცოცხალ ღობეებად. დაფნის მცენარეს მძლავრი ფესვთა სისტემის გამო ფერდობებზე იყენებენ ეროზიის საწინააღმდეგოდ. მაღალი ყინვაგამძლეობის გამო დაფნას გავრცელების ფართო არეალი გააჩნია, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 300 წელს აღწევს. ზრდის პირობებისა და მოვლის მიხედვით იგი 2-5მ სიმაღლის ბუჩქს წარმოადგენს, გვხვდება 16-მეტრიანი ხეებიც. მისი ბუნებრივი ნაყარი შემორჩენილია ურთას (ხოზი) მთაზე.

დაფნის კულტურის წარმოებით დაინტერესებულ ყველა პირს ვთავაზობთ სამრეწველო პლანტაციების გაშენების, მოვლისა და ექსპლოატაციის კონკრეტულ ტექნოლოგიურ გეგმას:

დაფნის პლანტაციების გასაშენებლად უნდა შეირჩეს ვაკე ადგილები და ფერდობები 200-ის დაქანებამდე. დაფნის კულტურა ნიადაგების მიმართ ნაკლებად მომთხოვნია, მაგრამ კარგად ხარობს ნემომპალა კარბო-

ბასულ საშუაწიში სპარტოვილოში დაფნა ჩინისა და ციტრუსების შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურა იყო. იმ პერიოდისათვის მას 6 ათასი ჰა ეჭირა. პროდუქციაზე ფასების მარდნის გამო წარმოების რაოდენობა თანდათანობით შემცირდა. დღეს დაფნის პროდუქციაზე საექსპორტო მოთხოვნილების გაზრდამ ფერმერებს ამ კულტურის მიმართ სერიოზული ინტერესი გაუჩინა.

ნატურალ ფხვიერ და კარგი სტრუქტურის მქონე ნიადაგებზე, თუმცა ვითარდება წითელმიწა, ყვითელმიწა და სუსტად გაენერგებულ ნიადაგებზე მოკირიანების ჩატარების შემდეგ.

დაფნა ვერ ეგუება ჭარბტენიან ნიადაგებს. ასეთ ადგილებში ტენის მოსაშორებლად და ჰაერის რეჟიმის გასაუმჯობესებლად დაფნის გაშენებამდე ეწყობა კვლები. კვლის სიგრძე შეიძლება იყოს 100-120 მეტრი, ხოლო სიგანე 5-დან 8-მეტრამდე. კვლებიდან ამოღებული მიწა იყრება კვლის შუა ნაწილში და თანაბრად ნაწილდება.

გასაშენებლად შერჩეული ნაკვეთი საჭიროა გაინმინდოს სარეველები-საგან და ტყე-ბუჩქნარისაგან, მოხდეს ნიადაგის მთლიანი დამუშავება 45 სმ სიღრმეზე, ჩატარდეს ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა და მის საფუძველზე შედგენილი იქნას განოყიერების სწორი სისტემა. მჟავა რეაქციის ნიადაგებზე აუცილებელია ქიმიური მელიორაცია კირის, ტკილის ან დეფეკაციური ტალახის გამოყენებით.

დაფნის პლანტაციის გაშენება ხდება 2 წესით: ბუჩქური და შპალერული. ბუჩქური გაშენებისას რიგებს შორის მანძილი 1,5 მეტრია, ხოლო მცენარეებს შორის 1 მეტრი. ჰა-ზე თავსდება 6700 მცენარე. შპალერული გაშენებისას რიგებს შორის მანძილი 1,5 მეტრია, მცენარეებს შორის 0,5 მეტრი ჰა-ზე (13400 მცენარე). გაშენების წინ ნაკვეთის გრძელი მხარის პარალელურად გაყავთ სწორი ხაზი და ჩვეულებრივი წესით იწყებენ დაგეგმვას ყოველ 1,5 მეტრში.

მწკრივთა ხაზების მონიშვნის შემდეგ მათ გასწვრივ 30სმ სიღრმეზე აფხვიერებენ 0,5 მეტრი სიგანის სათესლე ან ნერგების დასარგავ ზოლს. სარგავ ხაზზე ამოიღება 20სმ განისა და 25სმ სიღრმის ორმო, სადაც ირგება სტანდარტული ნერგი, ხოლო

თესლით გაშენებისას 4-5სმ სიღრმეზე ეწყობა ბუდნები, რომელშიც 3-4 ცალი თესლი ითესება და მაჩვენებელი ჯოხით აღინიშნება. თესლის შეგროვება ხდება შემოდგომაზე წინასწარ აპრობირებული სადედე ხეებიდან.

თესვა უნდა მოხდეს ოქტომბერ-ნოემბერში. თესლს უნდა შემოეცალოს ნაყოფ-გარემო. ერთი ჰა პლანტაციის ბუჩქური წესით თესლით გაშენებისას საჭიროა 35 კგ თესლი, ხოლო შპალერული გაშენებისას 70კგ.

თუ თესლი შემოდგომით არ ითესება საჭიროა გაუკეთდეს სტრატეფიკაცია 7%-იან ტენიანობის სილაში. წინასწარ ხის ყუთში იყრება სილა, მასზე 3-4 სმ სისქით იყრება თესლი, შემდეგ ისევ სილა და ასე შემდეგ. ყუთის სასურველი სიმაღლეა 40სმ. ყუთი იდგმება დაცულ ადგილას +20°C +8°C ტემპერატურაზე, ტენიანობა 60-70%. შენახული თესლი ითესება 25 თებერვლიდან 25 მარტამდე.

სანერგეში გამოყვანილი ნერგებით სასურველია პლანტაციის გაშენება მოხდეს 1 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ან 15 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

პლანტაციის გაშენების წელსვე იწყება მწკრივების სარეველებისაგან გასუფთავება და რიგთაშორისების გაფხვიერება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს თესლით ახლად აღმოცენებული მცენარეების მოვლა.

მეორე წლიდან მეჩხერი ადგილების შესავსებად უმჯობესია გამოვიყენოთ სტანდარტული ნერგებით გამოვსება.

ახალგაზრდა პლანტაციებში 2-3 წლის განმავლობაში 10-12 სმ სიღრმეზე ტარდება რიგთაშორისებში გაფხვიერება და ამონიუმის გვარჯილის შეტანა ძირზე 0,1კგ, ხოლო ზრდასრულ პლანტაციებში, სადაც რიგთაშორისები შეკრულია 4 წელიწადში ერთხელ ტარდება საზამთრო გადაბარვა 10-12სმ სიღრმეზე, ორ-

განული და მინერალური სასუქების შეტანა მეცნიერული კვლევების საფუძველზე დადგენილი დოზებით.

დაფნის მაღალი და სტაბილური მოსავლის მისაღებად საჭიროა განოციერების სწორი სისტემის შემუშავება, რომელიც ეფუძნება პერიოდულად ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას და ნაყოფიერების დონის დადგენას. დაფნის პლანტაციების განოციერების მიზნით იყენებენ როგორც ორგანულ ისე მინერალურ სასუქებს. ორგანული სასუქებიდან გამოიყენება დაკომპოსტებული ნაკელი საყოფაცხოვრებო ანარჩენებთან ერთად, ტორფ-კომპოსტი. ტორფ-კომპოსტებიდან შეიძლება გამოვიყენოთ ტორფ-ნაკელი ან ტორფ-დოლომიტი ან ცეო-ტორფი ან ტორფ-ჰუმინური სასუქები და სხვა. ტორფ-დოლომიტის გამოყენებისას ნიადაგში ერთდროულად ხდება ორგანული სასუქის შეტანა და ნაკვეთის გამდიდრება საკვები ელემენტი - მაგნიუმით. „ცეო-ტორფის“ გამოყენება უზრუნველყოფს ნიადაგის მექანიკური შემადგენლობის გაუმჯობესებას, გამდიდრებას ორგანული სასუქით და იონგაცვლითი პროცესების ზრდას. ტორფ-ჰუმატები ორგანულ სასუქთან ერთად შეიცავენ სტიმულატორს. წყალხსნადი ჰუმინის მჟავას შემადგენლობა ტორფ-ჰუმატებში გაცილებით მეტია ვიდრე სხვა ტორფ-კომპოსტებში. ორგანულ სასუქად ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ ბიო-ჰუმუსი შემცირებული დოზით 5 ტონა ჰა-ზე.

ორგანული სასუქის დოზები განისაზღვრება ნიადაგში ჰუმუსის შემცველობით და იგი მერყეობს 30-50 ტონამდე 4 წელიწადში ერთხელ რიგთაშორისებში შეტანით. მინერალური სასუქების გამოყენება დამოკიდებულია ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ნიადაგი ღარიბია სამივე საკვები ელემენტით: აზოტით, ფოსფორით და კალიუმით გამოიყენება კომპლექსური მინერალური სასუქი NPK ან სუპერაგრო ან დიამოფოსკა ან ამოფოსკა 500კგ. ჰა-ზე. დანარჩენ შემთხვევებში იყენებენ მარტივ სასუქებს. აზოტის ნაკლებობისას ახალგაზრდა პლანტაციაში გამოიყენება ამონიუმის გვარჯილა 150 კგ ჰა-ზე, ხოლო ზრდასრულ პლანტაციებში გამოიყენება 500კგ. ფოსფორის ნაკლებობისას ვიყენებთ სუპერ-ფოსფატს 500-750კგ ჰა-ზე, ხოლო

კალიუმის ნაკლებობისას კალიუმის მარილს 250კგ ჰა-ზე. ბოლო პერიოდებში საქართველოს ბაზარზე შემოვიდა ორგანო-მინერალური სასუქები ბაქტოფერტი, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს ჰა-ზე 500კგ დოზით.

დაფნის ახალგაზრდა პლანტაციაში პირველი მოსავლის მიღება იწყება 3 წლის ასაკში, რისთვისაც ბურქი იჭრება ფესვის ყელიდან 10-15სმ-ზე. დაფნის ნარგავების პირველი გადაჭრა ხელს უწყობს გვერდითი ტოტების დაბურქებას და განვითარებას. დაფნის მორიგი გადაჭრა ხდება 10სმ ზევით ნინა გასხვლაზე, ე.ი 20-25 სმ-ზე ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. დაფნის შპალერული ნარგავობის ყოველწლიური გადაჭრა დაუშვებელია. როდესაც დაფნის ბურქები მოსავლიანობას შეამცირებენ და სიმალლეში გადაიზრდებიან (ყოველ 8-10 წელიწადში ერთხელ) ეწყობა ბურქის მძიმე გასხვლა 20სმ სიმალლეზე ფესვის ყელიდან.

დაფნის პლანტაციაში მოსავლის აღება ხდება 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე. ტოტების შეჭრა ნარმოებს გალესილი ბასრი იარაღით მზიან ამინდში. ანასხლავი მასა იკვრება კონებად და თავსდება სათანადო ჰაერაციის მქონე ფარდულეებში. დაფნის მზეზე შრომა დაუშვებელია. ხელსაყრელ პირობებში ფოთოლი 10-15 დღეში შრება. გამხმარ ფოთოლს უნდა ჰქონდეს ღია მწვანე ფერი, მოლუნვის დროს თავისუფლად არ უნდა ტყდებოდეს, ტენის შემცველობა 14%-ს არ უნდა აღემატებოდეს. გახმობის შემდეგ პროდუქციას უნდა მოშორდეს უხეში ტოტები, უცხო მინარევები და მოთავსებული იქნას ჰაერგამტარ ტომრებში.

იმ შემთხვევაში, როცა დაფნა გამზადებულია ეთერზეთების მისაღებად მას გაშრობა არ ესაჭიროება და მწვანე მასის გადაზიდვა ხდება ეთერზეთების ქარხნებში.



დაფნის პლანტაციებში დაფნის ფოთლებსა და ყლორტებს აზიანებს მავნებლები: დაფნის ფოთოლრწყილა, ფარიანები, ცრუფარიანები, ბუგრები, მღრღნელები, მახრა, ღრაჭუნა, ფოთოლმხვევიები და სხვა.

დაავადებებიდან: ფესვის სამხრეთული სიდამპლე, ფილოსტიქოზი, ანთრაქნოზი და სხვა.

დაფნის პლანტაციებში მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განხორციელდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსავლიანობის კლებასთან ერთად უარესდება დაფნის ფოთლის ხარისხი და კარგავს სასაქონლო სახეს. სამრეწველო პლანტაციების გაშენებისა და მოვლის მაღალ ტექნოლოგიურ ფონზე შესაძლებელია თითოეულ ჰა-დან მივიღოთ 5-10 ტონა მწვანე მასა, რაც გამხმარ ფოთოლზე გადაყვანით 2 ტონას შეადგენს.

დაფნის კულტურის გაშენებითა და ექსპლოატაციით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სრულყოფილი კონსულტაციები მიიღონ ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკურ ცენტრ „ანასეული“-ს სპეციალისტებისაგან – შეამონმონ თავანთი ნიადაგების, მცენარეული ნიმუშების ხარისხიანობა და დაადგინონ პოტენციური ვარჯისიანობა ამ კულტურის საწარმოებლად.

ზაურ ბაბრიძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რუსუდან ტაიძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;

ფრიდონ ჭანუყვაძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორი. ოზურგეთი – ანასეული

რეგიონული ლაბორატორიების გაძლიერების პროგრამა - ოზურგეთის რეგიონული ლაბორატორია



გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) გავრცელებულია მესამონღობა და ის ფარმაცეუტა და ბლანკური მეურნეობების შერეულ-სავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. გურიაში მეცხოველეობა უფრო მეტად მსხვილფეხა რძოსანი პირუტყვითაა წარმოდგენილი და ძირითადი მიმართულებაა ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება.

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და აგრონარმოების განვითარება რეგიონისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ ამოცანად განიხილება. სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობისა და რეზერვების სრული ამოქმედების პირობებში მხარეში შესაძლებელია პირუტყვის რაოდენობის გაორმაგება. რესურსების სრულად გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი გაუმჯობესებული ლაბორატორიული მომსახურებაა. მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებისათვის მაღალხარისხიანი ლაბორატორიული სერვისების გამოყენების შესაძლებლობა რეგიონებში სულ უფრო იზრდება.

ულ მომსახურებას სამივე მუნიციპალიტეტს (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის ლაბორატორია უწევს. ოზურგეთის ლაბორატორიაში რეგიონული ლაბორა-

დონის აპარატურითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით აღიჭურვა. აქ ლაბორატორიული კვლევის მეთოდების უკეთ ათვისების მიზნით სისტემატური სწავლებითა და სპეციალური პროგრამებით შესაძლებელი გახდა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია აქტიურად მონაწილეობს „ერთიანი ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამაში და მზადაა ეპიდ-აფეთქებების რისკის წარმოქმნისთანავე ჩაერთოს ლაბორატორიულ კვლევებში.



მსგავსი სახის აქტივობები მნიშვნელოვანია გურიის რეგიონისათვის, ვინაიდან მოსახლეობას საშუალება აქვს ადგილზევე მარტივად მიიღოს მაღალი დონის სერვისი.

ერთ-ერთი ასეთი სერვისი – ლაბორატორიული კვლევების წარმოებაა, რომელიც აუცილებელია როგორც ცხოველთა დაავადებების კონტროლისათვის, ისე ზარალის თავიდან ასაცილებლად.

ტორიების გაძლიერების პროგრამის საფუძველზე, 2012 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა.

სალეო ძარალი,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

ლაბორატორია აშშ-ის სააგენტოს DTRA-ს მიერ ერთობლივი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო

ალერგიის გამომწვევი სარკველად მსენარეები

ალერგია მეოცე საუკუნის დაავადებაა. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში მოსახლეობის 12-15 %-ს აწუხებს ალერგია. პოლინოზი ალერგიული დაავადებაა და ის მოსახლეობის 10%-ს აწუხებს. დაავადებას „თივის ცხელია“ უწოდებენ, თუმცა რეალურად ის არა თივით, არამედ ყვავილის მტვრით არის გამოწვეული.


პერიოდში და ზაფხულ-შემოდგომის გარდამავალ პერიოდში.

პოლინოზს უმეტესად ხეების, მარცვლოვანი მცენარეებისა და სარეველა ბალახის მტვერი იწვევს. ალერგიულ ადამიანებს პოლინოზი მაშინ უმწვევდებათ, როცა მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია განსაზღვრულ

დონეს მიაღწევს. საქართველოსთვის დამახასიათებელია მცენარეთა ყვავილობის სამი სეზონი, რის გამოც აღინიშნება პოლინოზის გამწვავების სამი ტალღა: ადრე ზაფხულზე, გაზაფხულ – ზაფხულის გარდამავალ

ალერგიის გამომწვევი სარეველებია: ავშანფოთლიანი ამბროზია, სამნაკეთიანი ამბროზია, მხოხავი ჭანგა, თათაბო, ავშანი, ოქროსკეპლა, ნივანა, ტიმოთელა, მდელოს თივაქასრა, ნაცარქათამა, მრავალძარღვა, ვირისტერფა, ოროვანდი, ასფურცელა და სხვა. ქვემოთ წარმოგდენილია ზოგერთი მათგანის მოკლე დახასიათება.

**ავზანფოთლიანი ამბროზია –
Ambrosia artemisiifolia L.**



ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ფესვი – მთავარლერდა, ძლიერ დატოტვილი, ნიადაგში აღწევს 4 მ-მდე; ღერო – სწორმდგომი, დატოტვილი, შებუსუსული, 0,1-2,5 მ სიმაღლის; ფოთლები – ერთ ან ორმაგ ფრთისებრდანაკვეთული, ქვედა მხრიდან შებუსუსული; ყვავილები – ყვითელი, კალათად შეკრებილი, ყვავილობს ივლის – აგვისტოში; მტვერი იწვევს ადამიანის ალერგიულ რეაქციებს.

**სამნაკვთიანი ამბროზია –
Ambrosia trifida L.**



მსხვილი, მძლავრი, ერთწლიანი საგაზაფხულო მცენარეა, სამი მეტრი სიმაღლის ღეროთი, ვეგეტაციის ბოლოს ხევდება და იფარება უხეში, მოკლე ბუსუსებით; ფოთლები ყუნწიანი, პირდაპირ მჯდომარეა, ქვედა ფოთლები ღრმა – 3 ან 5 ნაკვთიანია, ყვავილები – ყვითელი, კალათად შეკრებილი, ყვავილობს ივლის – აგვისტოში; მტვერი იწვევს ალერგიას და თივის ციებ – ცხელებას.

**მდელოს წივანა –
Festuca pratensis Hunds.**

მრავალწლიანი ბალახოვანი სარევე-ლა მარცვლოვანთა ოჯახიდან. ფესვი – ფუნჯა, ვრცელდება ღრმად ნიადაგში; ღერო – სწორმდგომი, 120 სმ-მდე; ფოთლები – ვიწრო ლანცეტისებური,



**თათაგო –
Atriplex patula L.**



ღია მწვანედან მუქ მწვანემდე; ყვავი-ლედი – საგველა, თავთავები მოგრძო, მწვანე, ოდნავ იასამნისფერი ელფერი, ყვავილობს ივნისში.

ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველაა ნაცარქათამასებრთა ოჯახიდან. ფესვი – მთავარლერდა; ღერო – სწორი, დატოტვილი, სიმაღლე 30-90 სმ; ფოთლები – არასწორი რომბისებური, მორიგეობითი, კიდეშლიანი ან დაკბილული, მწვანე ფერის, ახალგაზრდა ფოთლები მონაცრისფრო-მწვანე; ყვავილედი – თავთავისებური, ყვავილები წვრილი.

**მდელოს ტიპოთილა –
Phleum pratense L.**



მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან. ფესვთა სისტემა ძლიერაა განვითარებული, რომელიც ნიადაგში ღრმად ვრცელდება. ღერო – სწორი, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთოლი – ვიწრო, შეუბუსუსავი, მოცისფრო-მომწვანო; ყვავილედი – რთული თავთავი; ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე.

**ორწიანდი –
Arctium lappa L.**



ორწლიანი ბალახოვანი სარევე-ლა ასტრაცეების ოჯახიდან. ფესვი – მთავარლერდა, ხორცოვანი, 60 სმ-მდე; ღერო – სწორმდგომი, 60-180 სმ სიმაღლის; ფოთლები – დიდი, გულისებური, მორიგეობითი, მარტივი, ყუნწიანი; ყვავილედი – კალათა, ყვავილები მილისებური, იასამნისფერი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში.

**მდელოს მელაჟუდა –
Alopecurus pratensis L.**



მრავალწლიანი მარცვლოვანი ბალახოვანი სარეველაა, 50-120 სმ სიმაღლის; აქვს მოკლე ფესურა, ფოთოლი – მჯდომარე, მორიგეობითი, მარტივი, საზოვანი, მწვანე; ყვავი-ლედი – რთული საგველა; ყვავილობს მაის-ივნისში.

**აზინდა –
Artemisia absinthium L.**

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახი-დან. ფესვი – მთავარლერდა; ღერო –



სწორმდგომი; ფოთლები – ფრთისებრდანაკვეთული; ყვავილედ – კალათა, სფეროსებური, ყვავილი ყვითელი, წვრილი, მილისებური, ყვავილობს ივნის-ივლისში.

**ოქროსკეპლა –
Solidago virga aurea L**



მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარეველა ასტრაცეების ოჯახიდან. ღერო სწორმდგომი, შეფოთილი, შებუსული, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთლები – მორიგეობითი, ელიფსური, კიდედაკბილული. ყვავილეთი – კალათა, ყვავილი ყვითელი, ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე.

**ჭინჭარი ორსახლიანი –
Urtica diodica L.**

მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა, 60-200 მმ სიმაღლის; ღერო სწორმდგომი, შებუსული;



**ორკბილა –
Bidens tripartita L.**



ფოთლები გულისებრი, კიდედაკბილული; ყვავილები მოყვითალო – მწვანე, ყვავილობს ივნისიდან შემოდგომამდე.

ერთწლიანი ბალახოვანი სარეველა ასტრაცეების ოჯახიდან. ფესვი – მთავარღერძა, ძლიერ დატოტვილი, წვრილი; ღერო – ერთეული, სწორმდგომი, მონითალო, 60-90 სმ; ფოთლები – მოპირდაპირე, მოკლე ყუნწით, სამნაკვეთიანი, ლანცეტისებური, კიდედაკბილული, შიშველი მუქი მწვანე; ყვავილეთი – კალათა, ყვავილი ყვითელი, ყვავილობს ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე.

**მრავალკარვლა –
Plantago major L.**

მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, 70 სმ-მდე, ფესურიანი; ფესვები – ძაფისებური, წვრილი; ფოთლები – ფართო, ოვალური ფორმის; ყვავილი წვრილი, მუქი; ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე.



*ნიმუ დათუაიშვილი,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ლაბორატორიის ფიტოპათოლოგიის
ლაბორატორიის
მთავარი სპეციალისტი;*
*მაია გიორგაილიძე,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ლაბორატორიის ფიტოპათოლოგიის
ლაბორატორიის
მთავარი სპეციალისტი*

ფერმერის გვერდი

რეპრიკას უძღვება „მომავლის ფერმერი“

**დააგეგმეთ სუკეთესო მარწყვი
წუგდიდიდან**

„ჩემი მიზანთან ურთიერთობა 2011 წლამდე მხოლოდ ქოთანში ჩარგული მცენარეებით შემოიფარგლებოდა. მთელი გავშვობა შევნატროდი თანაკლასელ გავშვებს, შაბათ-კვირას სოფელში რომ გარგოდნენ, ვიღრე 2011 წელს მიგობრის, ნანი ფიფიას სოფელ ჩხორიაში USAID/NEO პროექტის ფარგლებში მარწყვის გაშენების საბრანტო კონკურსში არ მივიღეთ მონაწილეობა. პროექტში გავიგარჯვით და ერთ-ერთი პირველები ვიყავით იმ ათი ფერმერიდან, რომელიც NEO-მ დააფინანსა.“

სამეგრელოში მარწყვის გაშენებას ეჭვის თვალთ უყურებს ბევრი: მეხილეობის ექსპერტი და ადგილობრივი ფერმერიც, მაგრამ ფერმერებმა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობითა და უცხოელი ექსპერტების დახმარებით შეეძელით ალტერნატიული კულტურების გაშენება.

სამეგრელოში ქალების ბიზნესში ჩართვას სათანადოდ ვერ აფასებენ. მახსოვს, ერთ-ერთმა შუახნის მამაკაცმა ირონიით რომ გამოაცხადა, ამით გალაკულ ფრჩხილებს შეხედეთ, ესენი რა მარწყვის მომყვანები არიანო. ეს მითიც მალევე დავანგრეთ. საკმაოდ ლამაზ, მკვრივ მსხვილ ნა-



ყოფს ეჭვის თვალთ შეხედა მყიდველმა. ჩათვალა, გენმოდეფიცირებული ნაყოფი იყო ჩამოტანილი, რამაც მიგვალებინა გადანყვეტილება ჩაგ-

ვეტარებინა მარწყვის ფესტივალი. ეს იყო ყველაზე სწორი მარკეტინგული სვლა. გაიზარდა ინტერესი ქვეყნის მასშტაბით კენკროვანი კულტურების მიმართ. 2012 წელს შევექმენით “ხილ-კენკროვანი კულტურათა ასოციაცია”, რომელიც დღეს 38-მდე ფერმერს აერთიანებს. აქედან 18 ფერმერი ქალია. ვეხმარებით როგორც იმპორტირებული, ასევე ადგილობრივად გამოყვანილი ახალი ჯიშების მინოდებაში, ასევე ვუტარებთ ტრენინგებს აგროტექნიკაზე, ვეხმარებით მონეული ნაყოფისა და ნერგების გაყიდვაში. მიმაჩნია, რომ ცოდნა აუცილებლად სხვას უნდა გადასცე, რომ არა მარტო შენ იყო კარგად, არამედ შენს გარშემომყოფი სხვა ადამიანებიც. ჩვენი ასოციაციის წევრებს ახლა შეუძლიათ როგორც ღია გრუნტის, ასევე სასათბურე ჯიშების მარწყვის მოყვანაც. ჩვენ სათითაოდ ჩავდივართ ყველა რეგიონში და ვუტარებთ ტრენინგებს მათ, გადავცემთ ნერგებს. თუმცა ახლა ბავშვს ველოდები და ცოტა გამიჭირდა. ამიტომ მხოლოდ ნანას უწევს მივლინებებში სიარული.

საერთოდ, სოფლად მცხოვრებ ქალებს ბევრად უფრო მეტი ფიზიკური შრომა უწევთ, ვიდრე კაცებს. ჩვენი დილა უფრო ადრე იწყება, რადგან ოჯახი უნდა მოანესრიგო, დააპურო



და მერე გახვიდე ველზე სამუშაოდ. ველზეც ძირითადად ხელით გინევს შრომა იმიტომ, რომ ქალებს ტრადიციულად არ შეუძლიათ მექანიზაციაზე მუშაობა. არადა ჩვენს ლექსიკაში ხომ გვაქვს სიტყვა „გუთნის დედა?!“, ნეტავ როდის დაგვარგეთ ქალებმა უფლება მექანიზაციაზე, როცა

უძველესი სოფლის მეურნეობის ტექნიკაც კი მდებარეობს სქესთან არის დაკავშირებული. სამუშაოდან დაბრუნებულს დასვენების დრო არ გაქვს იმიტომ, რომ ისევ ოჯახის საქმეებია მოსაგვარებელი: სარეცხი, ჭურჭელი, სადილი. ამ მხრივ ვერ ვიტყვი სამდურავს ჩემს მეუღლეზე, რომელიც მუდამ გვერდში მიდგას და ჩემთან ერთად იზიარებს ყველანაირ შრომას.

ბოლო წლებში სამეგრელოს რეგიონის თითქმის ყველა სოფელი შემოვიარეთ. ვხედავ, როგორ გაიზარდა ინტერესი ქალების მხრიდან ფერმერულ მეურნეობაში ჩართვაზე. თუმცა პრობლემას ვაწყდებით და ჩვენს მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე, როცა ქალებს ველოდებით, მაინც ძირითადად კაცები მოდიან. ბევრჯერ ვიკითხეთ მიზეზი და გვეუბნებიან, ქალებს ოჯახი აქვთ მისახედი და არ სცალიათ ტრენინგებისთვისო. მიხარია, რომ ქალები ნელ-ნელა აცნობიერებენ, რომ მათი გაძლიერება მათი პირადი ეკონომიკური განვითარებით უნდა დაიწყოს“.

სანაკრძო

„შუხმან ვაინს ჯორჯიას“ ყურძნის წიპნის ზეთი ექსპორტზე ევროპაში გავა

„შუხმან ვაინს ჯორჯიას“ ყურძნის წიპნის ზეთი მომავალი წლიდან სარეალიზაციო ძალაში გამოჩნდება. პროდუქცია საწყის ეტაპზე თბილისში სავაჭრო ძალადაა და ღვინის მაღაზიებში გაიყიდება, სამომავლოდ კი მისი გატანა ექსპორტზე ევროპის ქვეყნებშიც იგეგმება.

როგორც „ფორტუნას“ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნუცა აბრამიშვილმა განუცხადა, „შუხმან ვაინს ჯორჯია“ სარეალიზაციო ყურძნის წიპნის ზეთის 1500-მდე ბოთლის წარმოებას აპირებს, გასაყიდი ფასი კი საშუალოდ 10 ლარი იქნება.

„ყურძნის წიპნის ზეთს ორი მნიშვნელოვანი დანიშნულება აქვს – გასტრონომიული და კოსმეტიკური. მომხმარებლისთვის საინტერესო იქნება ეს პროდუქტი. ამასთან, ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში, სამომავლოდ ექსპორტზეც გავალთ“, – აღნიშნა აბრამიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, კომპანიას 2017 წლისთვის წარმადობის გაზრდაც აქვს დაგეგმილი. კახეთში,

„შუხმან ვაინს ჯორჯიას“ ვენახებში, კომპანიის დირექტორის განმარტებით, წლებულს კარგი მოსავალი იყო. შესაბამისად, მომავალი წლისთვის მილიონ-ნახევარი ბოთლი ღვინის წარმოება იგეგმება. „უკვე ვინყვებთ მზადებას 2017 წლისთვის. ვზრდით პროდუქციის რაოდენობას. მოგეხსენებათ, ექსპორტზე 20 ქვეყანაში გავდივართ, აქედან ისეთ საინტერესო და ახალ ბაზრებზე, როგორებიცაა: ჩინეთი, ბრიტანეთი, იაპონია.

რაც შეეხება ჩინეთს, „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ მიღწეული შეთანხმების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც ქართველი მენარმეები ღვინოსა და აგრარულ პროდუქციას ჩინეთის ბაზარზე ბაჟის გარეშე

შეიტანენ, ვგეგმავთ ამ ქვეყანაში საექსპორტო პროდუქციის რაოდენობა საგრძნობლად გავზარდოთ. 2016 წელს ჩვენი საექსპორტო ქვეყნების ტოპ-სამეულში ჩინეთი ბოლო ადგილზე იყო, 2017 წელს კი ეს ქვეყანა პირველ ადგილზე გადმოინაცვლებს“, – განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, როგორც ნუცა აბრამიშვილმა განმარტა, ამ ქვეყნებიდან „შუხმან ვაინს ჯორჯია“ თანამშრომლობს უკრაინასთან, ყაზახეთთან და ბელარუსთან, რუსეთში კი კომპანიის პროდუქცია არ შედის. „პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მოგეხსენებათ, რომ ფინანსური კრიზისია. შესაბამისად, ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა რომ არ მოხდეს მათი მხრიდან, ექსპორტზე გასვლისგან თავს ვიკავებთ. გამონაკლისია უკრაინა, ყაზახეთი და ბელარუსი. სერიო-



ზული დევაღვაცია განიცადა მათმა ეროვნულმა ვალუტებმაც, თუმცა ვცდილობთ, შევინარჩუნოთ მეგობრული ურთიერთობა და მათ მიმართ ხისტ პოლიტიკას არ ვატარებთ”, – დასძინა აბრამიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, წელს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ სიახლე ტურისტული თავისაზრისითაც ჰქონდა. კომპანიამ მომხმარებელს ღვინის

სპა შესთავაზა. როგორც „ფორტუნას“ ნუცა აბრამიშვილმა განუცხადა, კახეთში, სოფელ კისისხევში, „შუხმანის შატოში“ აღნიშნულ სერვისზე, მიმდინარე ზაფხულს, ტურისტების ძალიან დიდი მოთხოვნა იყო.

ცნობისთვის, ღვინის მწარმოებელი კომპანია „შუხმან ვაინს ჯორჯია“ ქართულ ბაზარზე 2009 წლიდან

ნაა წარმოდგენილი, 2 წლის წინ კი „შუხმან ვაინს ჯორჯიამ“ ფორმატი შეიცვალა და ჰოლდინგურ კომპანიად ჩამოყალიბდა. ამ ეტაპზე ის აერთიანებს ღვინის ბარს თბილისში, რესტორანსა და სასტუმროს კახეთში, ღვინის სპას, ასევე შემომყვან ტურისტულ კომპანია „შუხმან თრეველს“

fortuna.ge

თანადგობა

„თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები ყველას!“ ეს მარტო ლუზუნბად არ უნდა დარჩეს



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა“ და თბილისის მერიის თანადაფინანსებით „ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში შშმ ახალგაზრდების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ხის ნაკეთობათა სოციალური სანარმო „სხივი“ გაისხნა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დასაქმების მხარდასაჭერის სისტემის პილოტირება დაიწყო.

როგორც „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“ – „მშო-

„სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“ – „მშობელთა კავშირი“ შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა მოვლაზე 1997 წელს დააფუძნეს. ასოციაციის მიზანი შშმ პირთათვის თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა, სახელოვან პროფესიების დაუფლება და დასაქმება, სოციალური მხარდაჭერის განვითარება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

ბელთა კავშირის“ ხელმძღვანელი მაია ასაკაშვილი გამნარტავს, ხის სანარმოს მიზანია შშმ ახალგაზრდების ისეთი ცოდნისა და პროფესიული უნრების განვითარებაა, რაც მათ დასაქმების საშუალებას მისცემთ, რომ მათი შრომა ბაზარზე ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი იყოს.

ინტელექტუალური შეფერხების მქონე პირები ყველაზე დაუცველი ფენაა, რომელთაც სხვებზე მეტად უჭირთ დასაქმება. მათ სჭირდებათ სპეციალური, დამხმარე ალტერნატიული სერვისები, რომელიც ინდივიდის ძლიერ მხარეს ეყრდნობა.

– აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით გადავწყვიტეთ ხის სანარმო შეგვექმნა, – ამბობს ქალბატონი მაია, – სადაც შშმ პირები ინტელექტის განსავითარებელი სათამაშოების დამზადებას სწავლობენ. – პროექტის ფარგლებში 20 შშმ პირი

გადამზადდა, 5 შშმ პირის დასაქმების პრობლემა გადაიჭრა. სანარმოში მზადდება ხის სათამაშოები, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ორგანიზაციის სოციალური მიზნების მოგვარებასა და მეტი შშმ პირის დასაქმებას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენას, საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას.

ასოციაცია დღენიდაგ ზრუნავს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებზე, ცდილობს, მოიზიდოს



სახსრები სხვადასხვა სახელოსნოებისა და საწარმოების გასავითარებლად, რათა შშმ პირებს შეუქმნას ღირსეული თანაცხოვრების პირობები, ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და შშმ პირებისადმი დამოკიდებულების შესაცვლელად ქვეყანაში თითქოს რაღაც კეთდება, მაგრამ ვითარება ხელშესახებად ვერ იცვლება. ამის ერთ-ერთი დასტური თუნდაც გაჭიანურებული დავა და ჩინოვნიკთა გულგრილობაა, რომელიც აგერ უკვე მესამე წელიწადია გრძელდება და საშველი არ დაადგა.

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა მხარდაჭერისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 ივნისის 1089-ე განკარგულებით, „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციას“ სოციალური რეაბილიტაციის მრავალპროფილიანი სახელობო ცენტრის ასამოქმედებლად, შშმ პირთათვის სხვადასხვა სახელოსნოების განვითარებისა და შშმ პირთა დასაქმების მიზნით თბილისში, გია ირემამვილის ქ. №1 (ყოფილი 205-ე სკოლა-პანსიონის მე-3 სართული), სახელმწიფოს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება, შენობის 1000 კვ.მ ფართი უზურფრუქტით გადაეცა, თუმცა ორგანიზაციას ამ დრომდე არ ეძლევა საკუთარ შენობაში შესვლისა და მუშაობის შესაძლებლობა, რადგან შენობის მე-3 სართული შეჭრილ პირებს უკანონოდ აქვთ დაკავებული. ცენტრის სახელმწიფო პროგრამა დღემდე ორგანიზაციის ხელმძღვანელის მათა ასაკაშვილის საცხოვრებელ ბინაში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ხორციელდება, რომელიც, როგორც ქალბატონი მათა განმარტავს, სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, უსასყიდლოდ დაუთმო ბენეფიციარებს.

– წლებია დავდივართ ერთი უწყებიდან მეორეში, – ამბობს ქალბატონია მათა, – მაგრამ სამართალი ვერ ვიპოვეთ. მივმართეთ ყველა სახელმწიფო უწყებას, მათ შორის დევნილთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატს, უნდა ჩანიშნულიყო გამოსახლების პროცესი, მაგრამ 2015 წლის 11 დეკემბერს შეიცვალა კანონი და სამოქალაქო

კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი გაუქმდა, რომლის შესაბამისად უძრავ ქონებაზე საკუთრების ხელყოფის შემთხვევაში, მესაკუთრეს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე სამართალდამცავი ორგანოებისგან შეეძლო მოეთხოვა უკანონო მოქმედების აღკვეთა. ახალმა კანონმა მესაკუთრეს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე წაართვა ხელშეშლის უკანონობის აღკვეთის მოთხოვნის უფლება.

ამ კანონის მიღებით კიდევ უფრო დაირღვა შშმ პირთა და მათი მშობლების უფლებები, წაახალისა უკანონობა, დაარღვია მესაკუთრეთა უფლებები, ხელი შეუწყო მავანთ გაედლიერებინათ ბრძოლა ამ ფართის მისათვისებლად, ამიტომ ქვეყანაში ყველაზე დაუცველი ადამიანები დღემდე ვერ ახერხებენ მათთვის კუთვნილი ფართის დაბრუნებას, რათა სრულფასოვნად შეძლონ საქმიანობის გაგრძელება.

დავამ უკვე დიდი ხანია სასამართლოში გადაინაცვლა, ამჟამად საქალაქო სასამართლოში, მაგრამ 1 წელიწადია პროცესი წიანურება, რაც შშმ პირთა საქმის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს.

– ჩვენ არ გვჯერა, რომ სასამართლო დამოუკიდებელია, – ამბობს ასოციაციის ხელმძღვანელი, – ვინაიდან სხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმეები ელვის სისწრაფით იხილება, ჩვენი სასამართლო პროცესი ჯერ არც ჩანიშნულა. რა არის ეს, ვინ დგას ამ საქმის უკან? ნუთუ ასეთი სუსტია სახელმწიფო და არ შესწევს უნარი დაგვეხმარონ და ჯვარს აღარ გვაცვან?! ნუთუ ასე ძნელია დევნილებისთვის ალტერნატიული ფართის

შეთავაზება და პრობლემის უმტკივნეულოდ, დაპირისპირების გარეშე მოგვარება?

ურთიერთრალდებებმა, სახელმწიფოს მხირდან ამ საქმეში გამოჩენილმა უუნარობამ შექმნა ტრაგიკომედია – ორი ყველაზე მონყვლადი ჯგუფი, შშმ პირები და დევნილები, ერთმანეთს დააპირისპირა. ნუთუ ასეთულია ერთი შენობის, ერთი სართულის პრობლემის მოგვარება, რომ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებად არ მივიდეს? როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი გულგრილობა, მერამდენე ვ დეკემბერს (შშმ პირთა საერთაშორისო სოლიდარობის



დღე) უნდა შევხვდეთ ქუჩაში ჩვენს შეილებთან ერთად, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ცინიზმი და უკანონობა, როდემდე უნდა ვიყოთ შეკედლებული კერძო ბინაში, მით უფრო მაშინ, როცა მთავრობის განკარგულებით ეს ფართი ჩვენ გვეკუთვნის? რა დააშავეს შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებმა, რატომ უნდა იჩაგრებოდნენ და ირღვეოდეს მათი უფლებები, სად არის საზოგადოებრივი სოლიდარობა, სად არის ჩვენი ქვეყნის მიერ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციაზე ხელმოწერით აღებული ვალდებულებების პირობის შესრულება.

ერის ცივილიზებულიობა იმითაც განისაზღვრება, როგორ მდგომარეობაში აცხოვრებს იგი საკუთარ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებს. ამიტომ მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს; საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს; ახლად არჩეულ მთავრობას: შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი მღებრიშვილს; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს სოზარ სუბარს; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს; უმრავლესობის ლიდერს არჩილ თალაკვაძეს; საქართველოს პარლამენტს; საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებს, საქალაქო სასამართლოს, უმრავლესობასა და ოპოზიციას, განსაკუთრებული ყურადღებითა და გულისხმიერებით მოეკიდონ ჩვენ პრობლემას, რადგან ჩვენ, მშობლები არ დავუშვებთ ქვეყანაში შშმ პირთა დისკრიმინაციას.

ესაუბრა შოთა მატარაშვილი

რუბრიკას უძღვება „მოგავლის ფერმერი“

ფერმერი სოფელი მეჯვრისხევიდან



გიორგი დადიანიძე „მოგავლის ფერმერი“. მან ფერმერული საქმიანობა 2013 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო. ის მისაქონლე ფერმერია, მისოცდული მიმართულებით. მცირე რაოდენობით ჰყავს ფრინველი და ღორიც. მიუხედავად ბორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევი-ში მდებარეობის.

ფერმის ძირითადი შენობა გათვლილია 140 სულზე, თუმცა ახლა მხოლოდ 70 სული საქონელი ჰყავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და ყველა ადგილობრივი ჯიშის. ამჟამად 60 ტონა ხორცს აწარმოებს და სურს მომდევნო 3 წელიწადში ეს მაჩვენებელი გააორმაგოს და შეძლოს, სტაბილურად, უცვლელი ხარისხის ხორცი მოამარაგოს ხორცის მსხვილი მომხმარებლები.

„უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მცირე კაპიტალი დამიგროვდა და ვფიქრობდი, აღნიშნული თანხა ბიზნესში ჩამედო. არჩევანი ბოლოს ამ საქმეზე შევაჩერე. მიზეზი რამდენიმე იყო – ამ მიმართულებით მცირე გამოცდილება მქონდა, რადგან ნახევრად სოფელში გავიზარდე. ამასთან, თანხაც მყოფნიდა დასაწყებად და გორთან ახლოს ფერმაც ქირავდებოდა. ამ სფეროთი დაინტერესების პირველივე ეტაპზე ურთიერთობა დავიწყე ასოციაცია „მოგავლის ფერმერთან“. სხვადასხვა მიმართულებით მივიღე კომპეტენტური კონსულტაციები დარგის სპეციალისტებისგან და სხვადასხვა დროს, მათივე საშუალებით დავუკავშირდი ბევრ პრაქტიკოს ფერმერს და მათთან დღემდე ვაგრძელებ თანამშრომლობას“, – ამბობს 25 წლის ფერმერი.

გიორგი დადიანიძე მიიჩნევს, რომ ძირითადი ბიზნესი და ეკონომიკური პრინციპების ცოდნა ყველა ფერმერისთვის აუცილებელია, რომ მან სწორად შეაფასოს მისი ქმედებები ფულში და შეძლოს იმის განსჯა, საერთოდ ღირს თუ არა იმის კეთება. რასაც აკეთებს; სწორად დათვალოს მის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, იზრუნოს თავისი მეურნეობის მაღალეფექტიანობაზე... ახალგაზრდა ფერმერის აზრით, პრაქტიკული გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მას დიდი დროც სჭირდება. სწორად დაგეგმილ მეურნეობაში კი გამოცდილება მოკლე დროში და ნაკლები შეცდომების ხარჯზე მიიღება.

გიორგის სამეურნეო საქმიანობაში ძალიან ეხმარება მამა, საქმეს ძირითადად მასთან იყოფს. გარდა ამისა, მუდმივად ჰყავს დასაქმებული ერთი ადამიანი და დაახლოებით 6 კაცს სხვადასხვა სეზონურ სამუშაოზე პერიოდულად ასაქმებს. გიორგი ფიქრობს, რომ იყო ფერმერი რთულია და დღეს ფერმერობას კიდევ რამდენიმე ფაქტორი ართულებს.

„ფერმერობა ყველგან და ყოველთვის იყო და იქნება რთული, რადგან ფერმერი არის რაოდენობით


ცოტა, აწარმოებენ საკვებს ძალიან ბევრისთვის და ამას იღებენ ძალიან მცირე შემოსავალს. დღევანდელ საქართველოში კი ამას ემატება კიდევ ბევრი ნეგატიური ფაქტორი, რაც ფერმერს საქმეს კიდევ უფრო ურთულებს. მაგალითად, გლეხური მეურნეობები. ეს უკანასკნელნი არ ითვლიან სრულყოფილად მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და შესაბამისად, ყოფიან არასწორ ფასად (დაბალ ფასად), ხშირად კი ეს ფასი ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალია. ეს ქმნის ძალიან არაკონკურენტულ და არაჯანსაღ გარემოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზარზე.

ძალიან დიდი პრობლემაა არამდგრადი ბაზარი. ძნელია გრძელვადიან პერსპექტივაში გადამწყვეტილების მიღება, რადგან არ იცი რა იქნება მომავალ წელს, არ მუშაობს აგროდაზღვევის პროექტი, შეჩერებულია საძოვრების იჯარით გაცემა. დიდი ხანია კონკრეტული საძოვრის იჯარით გადმოცემას ვითხოვ, მაგრამ მთავრობის დადგენილებით შეჩერებულია საძოვრების იჯარით გაცემა და უარს მეუბნებიან. ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რაც დღესდღეისობით ართულებს ფერმერთა ყოფას“, – ამბობს ფერმერი გიორგი დადიანიძე.

ახალგაზრდა ფერმერი დამწყებ მე-საქონლე ფერმერებს ურჩევს, სანამ თავიანთ ყოველდღიურობას სოფლის მეურნეობის ამ დარგს დაუკავშირებენ, სწორად შეაფასონ საკუთარი მდგომარეობა, უნდათ თუ არა ეს საქმე იმდენად, რომ შეიყვარონ; აქვთ თუ არა დრო, რადგან დღე-ღამეში „25 საათს“ მოითხოვს, აქვთ თუ არა ტერიტორიული რესურსი, ადგილი, შენობა, წყალი, საძოვარი, საკვები ბაზა და რა, თქმა უნდა, ფულადი სახსრები. მით უფრო, რომ დასაწყისში გარკვეული დროის მანძილზე ფულის რეინვესტირებაა საჭირო. გიორგის თქმით, სწორი დაგეგმვა და დიდი ენთუზიაზმია საჭირო ალბათ ყველგან, მაგრამ ამ სფეროში – განსაკუთრებით.

წიწილების გამოზრდა და კვება

სასოფლო-სამეურნეო ფრინველის კვება მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ეყრდნობა სამეცნიერო კვლევებსა და გამოცდილებებს. წიწილების შენახვისა და გამოზრდის აუცილებელ პირობად ითვლება საფრინველის თბილად და სუფთად მოწყობა. ტემპერატურა უნდა იყოს +20 გრადუსი და მეტი. საფრინველს გარეთ შემოღობილი უნდა ჰქონდეს სასიძინო მოედანი ღრმა ქვეშასაფენით.



ქათმის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია მისი აქტიური მოძრაობა. ქათამს (ინდაურს) საკვები არ უნდა მოაკლდეს. ძლიერი სიცივის დროს საბუდარი უნდა დავათბუნოთ სათბურით („გრელკა“). მასში ჩავასხამთ ცხელ წყალს და ორ ფენად შემოვახვევთ შალის ნაჭერს. პერიოდულად გამოვცვლით წყალს. დათბურების ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მაშინაც, როცა წიწილები უკრუხოდ დარჩებიან.

წიწილების კვება შინაურ პირობებში

პირველი ორი დღე წიწილები აუცილებელია ვკვებოთ მაგრად მოხარშული, წვრილად დაჭრილი კვერცხით, რომელსაც მოვაბნევთ სუფთა ქაღალდის ფურცელზე. ორ დღეში ყოველ 10 წიწილზე გვჭირდება 1-2 ცალი კვერცხი. საკვების მიღების დროს ყუთის კუთხეში რეკომენდებულია იდგეს მძიმე მინის ან ფაიფურის ქილით სუფთა დასალევი წყალი. წიწილები უნდა გამოვკვებოთ დღე-ღამეში 5-6-ჯერ, დროის თანაბარ მონაკვეთში. ჭამის შემდეგ წიწილების ყუთი უნდა გადავხუროთ თხელი ქსოვილით, რათა მათ ნაკლები იმოდრაონ.

მესამე დღიდან რაციონში შევავაქვს: ფეტვი, ხაჭო (ახალი), წვრილად გახეხილ სტაფილოსთან შეზეულილი ჭინჭარი.

მეხუთე დღიდან მოხარშული და გახეხილი კარტოფილი, რომლის ჭამასაც ინყებენ სპეციალურ საკვებურში (სიგრძე – 50 სმ, სიგანე – 6 სმ, სიმაღლე – 3 სმ.). საკვებურს შუაში შეიძლება გავუკეთოთ სახელური ისე, რომ ფრინველი მათ შორის არ ჩავარდეს.

მეათე დღიდან წიწილების საკვებში შეგვაქვს სველი ნარევი მოხარშული დაქუცმაცებული სიმინდის, ხაჭოს,

წვრილად დაჭრილი ჭინჭრის, იონჯის, გახეხილი სტაფილოს, მოხარშული გახეხილი კარტოფილის, უმარილო თევზის ნარჩენები (ხორცის საკვებ მანქანაში გატარებული) სახით. ყველა ეს ნაერთი იყოფა ტოლ ნაწილად.

მეორე თვიდან ოთხ თვემდე ასაკის წიწილებისათვის აუცილებელია შემდეგი შემადგენლობის საკვები:

1. ფრინველის გაცრილი კომბინირებული საკვები 30%
2. მწვანე საკვები (წვრილად დაჭრილი), გახეხილი სტაფილო 20%
3. გასრესილი კარტოფილი 30%
4. კვერცხის ნაჭუჭი, დაფქვილი ძვალი 2%
5. სამზარეულოს ნარჩენები 18%

თუ ზემოთ ჩამოთვლილი სრულფასოვანი კვება, წიწილების სანიტარულ-ჰიგიენური შენახვა უზრუნველყოფილი იქნება, მოზარდი კარგად განვითარდება.

თუ ფრინველის წიწილების გაზრდა დიდი რაოდენობით გვინდა, გამოვიყენებთ ღრმა საფენს, რომელიც კეთდება შემდეგნაირად: თუ თიხის იატაკია, იტკეპნება და ზემოდან ეყრება ფხვიერი ჩამქრალი კირი 1კვ.მ-ზე 0,5 კგ. საფენს დებენ 4-6 სმ სისქეზე. ყოველ 10-12 დღეში ამ ფენას უმატებენ 2-3 სმ სისქის საფენს ისე, რომ საბოლოოდ ღრმა საფენის სისქე 16-20 სმ იყოს. განგარიშებულია, რომ 3 თვის ასაკამდე თითო ფრთა ფრინველს სჭირდება 8-8,5 კგ საფენი. საფენი იცვლება ახალი წყების წიწილების მოთავსების წინ. ე.ი. ყოველ 2-3 თვეში.

ღრმა საფენზე გამოზრდის დროს 1კვ.მ-ზე წიწილების დატვირთვა 10-15 წიწილას შეადგენს.

კვარცხნაგადაღები ქათამი

ქათამი, წონის მიუხედავად, გადამუშავებს კოლოსალური რაოდენობით საკვებს.

მაღალპროდუქტიული ქათამი სრულფასოვანი კვებისას საშუალოდ წელიწადში 300-330 კვერცხს დებს. ეს დაახლოებით 12-17 კგ მაღალი საკვები ღირებულების პროდუქტია და შეუცვლელი ცილაა, რომელიც ადამიანს სჭირდება.

მაღალი ხარისხისაა ასევე ქათმის ხორცი – გემრიელია და კარგი კვებითი ღირებულება აქვს ქათმის „ბულიონს“, ამიტომაც არის, რომ ექიმები სუსტ ავადმყოფებს, ასევე, ოპერაციის შემდეგ ადამიანს უნიშნავენ ქათმის ბულიონს.

ადგილობრივი ქათმები, ძირითადად მესორცულ-მეკვერცხული მიმართულების არის.

შენობა, სადაც კვერცხმდებელ ქათამს ვინახავთ, უნდა იყოს ნათელი და თბილი, ზაფხულის პერიოდში კი განიავებული. შენობის ოპტიმალური ტემპერატურაა +16, +18 გრადუსი.

ბუნებრივი განათების კოეფიციენტი შენობაში -1:10, ე.ი ყოველ 10 მეტრში (თუ მცირე ზომის ფერმა) უნდა იყოს. 1კვ.მ ფანჯარა განათებისათვის. ზამთრის პერიოდში ნარმატებით გამოიყენება დამატებითი ელექტროგანათება.

1 ფრთა ქათამს სჭირდება: შენობაში – 0,2კვ.მ, სასაფრინო ეზოში 5კვ.მ ფართობი.

უკეთესია, შენობის იატაკი იყოს ხის. ის უფრო თბილი და მოხერხებულია. თუ შენობა თბილია, შეგვიძლია გამოვიყენოთ მავთულის ბადე, რაც უზრუნველყოფს კარგ სანიტარულ მდგომარეობას და ნაკლებად მოსალოდნელია ქათმების დაინვაზირება. ნაკელი, რომელიც გროვდება ბადის



ქვეშ, ზამთრის პერიოდში ითვლება დამატებითი სითბოს წყაროდ.

ერთი ფრთა ფრინველის გამოსავლიანობა წელიწადში 40კგ-ს შეადგენს. 25 ქათამი გვაძლევს 1 ტონა ნაკელს, ნაკელი კი კარგ ორგანულ სასუქად ითვლება.

როდესაც ხის იატაკს ნაკელისგან გავწმენდთ, მათზე შეიძლება დაეყაროს ქლორიანი კირი, ზევიდან კი მშრალი ნახერხი. ეს უზრუნველყოფს შენობის დეზინფექციას და არ წარმოადგენს საშიშროებას ფრინველისთვის.

კარგი იქნება, თუ შენობაში დაედგამთ ყუთს, სადაც მოვათავსებთ ნახევარ ნაცარს და ნახევარ – სილას. ყუთის მონაცემები უნდა იყოს: 1კვ.მ ფართობის, სიღრმე – 20 სმ. ნაცრის ვანის საშუალებით ფრინველი თავის უფლებდა ექტოპარაზიტებისგან (ბუმბულის მჭამელები და სხვა).

ბუდე შენობაში ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ისინი განლაგდნენ 2-3 იარუსად, როგორც წესი, ჩაბნელებულ ადგილში, ფანჯრიდან მოშორებით. ბუდის კონსტრუქცია მარტივია – ერთი ბუდე გათვლილია 5 ფრინველისთვის.

კვება

კვერცხმდებელი ქათმისთვის საუკეთესო საკვებად ითვლება ფრინველის კომბინირებული საკვები, რომელიც სტანდარტს შეესაბამება, მაგრამ გლეხურ მეურნეობაში 25-50 ფრთაზე ყოველთვის არ არის ფრინველის სპეციალური კომბინირებული საკვების შეძენის საშუალება. ამ შემთხვევაში მის შემცვლელად შეიძლება გამოვიყენოთ მარცვლოვნების საშუალო ნაფქვავის (ღერღილი) ნარევი, სადაც აუცილებლად უნდა შე-

ვიდეს შემდეგი სახის კომპონენტები:

- სიმინდი – 35%, ხორბალი – 20%, ქერი – 20%, ბარდა – 10%, მზესუმზირის კოპტონი – 8%, ხორბლის ქატო – 7%.

რატომ არის საკვების ასეთი შვებადგენლობა?

ყველა მარცვლეული კულტურიდან განსაკუთრებულად გამოირჩევა სიმინდი. მისი კვებითი ერთეულია 1,34, კაროტინი – 4გრ, სასიცოცხლო მიკროელემენტებიდან შედის: რკინა, მარგანეცი, სპილენძი, თუთია, იოდი.

ბარდა მაღალცილოვანი საკვებია. ის შეიცავს დიდი რაოდენობით კალცს (1,7გრ), ფოსფორს (4,2გრ), ფაქტობრივად, ყველა მიკროელემენტს.

მზესუმზირის კოპტონი, ხორბლის ქატო, ძვალხორცოვანი ფქვილი, ასევე, მდიდარია ცილით, კალციტ, ფოსფორითა და ყველა მიკროელემენტით.

რაც შეეხება ხორბალსა და ქერს, რაციონში დიდ რაოდენობას იკავებენ, ამიტომ აუცილებლად მოითხოვება მათში შევიდეს ზემოთხსენებული კომპონენტები.

სალამოს სასურველია გამოვიყენოთ მარცვლეულის ნარევი, კერძოდ, ფეტვი და შვრია. ქათამი ძალიან კარგად ჭამს წვრილ მარცვალს. ორივე ზემოთ ნახსენები კულტურა ასევე მდიდარი არის ცილებით, კალციტ, ფოსფორითა და ყველა მიკროელემენტით, რაც აუცილებელია მაგარი ნაჭუჭისთვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რაციონის ვიტამინებით უზრუნველყოფას. ზაფხულის პერიოდში აუცილებელია გამოვიყენოთ

მწვანე საკვები (ჭინჭარი, იონჯა), ზამთარში – სტაფილო, საკვები კომბოსტო, გოგრა. ეს ყველაფერი ფრინველს წვრილად დაჭრილი და ახლად მომზადებული უნდა მივანოდოთ.

თუ ზამთარში ვერ შევძლებთ ვიტამინიანი საკვების დამატებას, მაშინ აუცილებელია რაციონში შევიტანოთ ვიტამინ-ამინომჟავები (კარგად არის დაბალანსებული პრეპარატები: ჩიკტონიკი, განამინოვიტი, AD3E ვიტამინი.)

ქათამს არ აქვს კბილები და იმისთვის, რომ წარმატებით გადაამუშაოს საკვები, განსაკუთრებით მარცვლოვანი, საკვების მოსასრესად აუცილებელია კუნთოვან კუჭში ქათამს ჰქონდეს ცოტა ქვიშა, სილა, ნიჟარა. ამისთვის ქათმებს დავუდგამთ ქვიშით, სილით და ნიჟარებით გავსებულ ყუთს. შეიძლება დავამატოთ დაფხვნილი ცარცი (1 ფრთაზე 3-4 გრ დღე-ღამეში).

საკარმიდამო მეურნეობაში ქათამი შეიძლება ვკვებოთ 3-ჯერ დღეში:

- დილით – კომბინირებული საკვები ან მსხვილად დაფქვილი მარცვალი
- შუადღით – წვნიანი საკვები და ვიტამინები
- საღამოს – მარცვლოვანი ნარევი (ფეტვი, შვრია)

დღელამური კონცენტრირებული საკვების ხარჯია 100-120 გრ ერთ ფრთაზე. წყლის ხარჯი 170-200ლ. წყალი უნდა მივანოდოთ ისეთი ჭურჭლით, რომ წყალი ნაკელით არ დაბინძურდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები კვერცხმდებელი ქათმებისთვის უზრუნველყოფს ქათმის პროდუქტიულობას და მცირე ხარჯებს.

ძირითადად საკარმიდამო მეფრინველეობაში მოშენებულია მეხორცულ-მეკვერცხული ქათმები. როდესაც ქათამს ხორცის წარმოების მიზნით ვზრდით, კვების ნორმები იზრდება 25-30%-ით. ასევე, ფრინველები მჭიდროდ უნდა მოვათავსოთ, რათა მოძრაობის შეზღუდვის გზით მაქსიმალური ნამატი მივიღოთ. თუ საკვებში არ უმატებთ მინერალურ ნივთიერებებს, მაშინ ფრინველი ეზოში დაახლოებით 2 საათი უნდა გავუშვათ.

ნებისმიერ ფრინველს კარგად ასუქებს ჭინჭრისა და მოხარშული სიმინდის ნარევი (ახალი სახით).

დაიბასსოვრათ:

- 1. ქათმის კვერცხმდებლობა მცირდება თუ ტემპერატურა 28 გრადუსზე მეტია, ან 10-12 გრადუსზე ნაკლებია.
- 2. კვერცხის დებისათვის ქათამს დღის სინათლე 11-14 საათი უნდა ჰქონდეს.
- 3. ბუმბულის ცვენის პერიოდში ქათამი კვერცხის დებას წყვეტს.
- 4. ბუმბულის ცვენა რომ არ გარძელდეს. ფრინველს ვიტამინიანი საკვებით ინტენსიური კვება სჭირდება. შეიძლება დამატებით მივცეთ ბუმბულის ფეკილი.
- 5. ქათმებისათვის აუცილებელია სუფთა ჰაერი და წყალი.

- 6. ქარიანი ამინდი ქვერცხმდებლობას ამცირებს.
- 7. არ შეიძლება კვების რეჟიმის და საკვების უეცარი შეცვლა ან უცხო საკვები.
- 8. ყურადღება უნდა მივაქციოთ ფრინველის დაავადებებს და პარაზიტებს.
- 9. საკვებში არ უნდა იყოს კალციუმის და ფოსფორის ნაკლებობა.
- 10. ზედმეტად მსუქანი ან სუსტი ქათამი კვერცხდებას წყვეტს.
- 11. 2 წელზე მეტი ხნის ქათმის შენახვა კვერცხმდებლობის მიზნით არაეკონომიურია.

მისილ ჭიჭაჭუა,
 „მომავლის ფერმერის“ მთ. ვეტკონსულტანტი, ბიოლოგიის დოქტორი



საეცნაოლისტი ბირჩავთ

რეკონსტრუქციები მესაქონლეობის დარგის ფერმერებს

სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობის დარგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რომელიც გრძელვადიან და თანმიმდევრულ მიდგომას მოითხოვს. იმისათვის, რომ განავითაროთ მესაქონლეობის დარგის ერთ-ერთი მიმართულება – მესაქონლეობა, მნიშვნელოვანია მოხდეს ამ სექტორის მოდერნიზაცია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 1 300 000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გვყავს, რაც ცუდი მაჩვენებელი არ არის, თუმცა სამწუხაროა, რომ მთლიანი სულადობის 75-80% დაბალპროდუქტიულია. ამასთან ერთად არასახარბიელო სურათი გვაქვს რძის წარმოებაში, სადაც სეზონურობა და დაბალი მწარმოებლობაა. წლის განმავლობაში მხოლოდ 4-5 თვეს გრძელდება სტაბილური რძის წარმოება, ხოლო დანარჩენ პერიოდში მნიშვნელოვანი დეფიციტი იქმნება. შესაბამისად რძის ფასიც ცვალებადი და არამდგრადია, არადა ნედლეული

ზე რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიებისგან მოთხოვნილება მზარდია. დარგის მოდერნიზაციის პრინციპიც ამაში მდგომარეობს, გადავანწყოთ ფერმერული მეურნეობები ეფექტურ მართვის სისტემებზე, რაც საშუალებას მოგვცემს საგრძობლად გავზარდოთ წარმოებული პროდუქციის მოცულობა ისე რომ მიწოდებამოთხოვნა დაბალანსებული იყოს.

რძე და ხორცი წარმოადგენს შეუცვლელ სრულფასოვან, მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტს, რომლის ანალოგი ბუნებაში არ არსებობს. მისასალმებელია ის, რომ რძისა და ხორცის წარმოებაში ამოქმედებულმა

რეგულაციებმა (სურსათის უვნებლობისა და ხარისხის თვალსაზრისით), ასევე სახელმწიფოს მიერ ინიცირებულმა პროექტებმა სტიმული მისცა მესაქონლეობის დარგს. შეიქმნა რამოდენიმე მსხვილი ფერმერული მეურნეობა, რომლებიც სპეციალიზებული მაღალპროდუქტიული ჯიშებითა და კომპლექტური (იმპორტი ევროკავშირის და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან), თუმცა ეს მცირედია დარგის განვითარებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში სურსათის პირველად წარმოებაში ჩართული მოსახლეობის დიდი ნაწილი მცირე ფერმერია. საოჯახო და მცირე ფერმერული მეურნეობა მაშინ იქნება წარმატებული, თუ მისი მართვა ეფექტიანად მოხდება და ბიზნესზე ორიენტირებული გახდება, რაც საშუალებას მისცემს მას თავისი საქმე იმ პრინციპებზე ააგოს, რომელიც წარმატებული ქვეყნების მესაქონლეობას უდევს საფუძვლად. თანამედროვე ბიზნესზე ორიენტირებული მეურნეობა ის აუცილებელი საშუალებაა, რომელიც ჩვენს ფერმერებს დაეხმარება პროდუქციის მოცულობის გაზრდაში და მაქსიმალური სარგებლის მიღებაში.

მესაქონლეობის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დარგის, სიცოცხლისუნარიანობა და წარმატებები მნიშვნელოვან წილად განპირობებულია თითოეული ამ დარგის შესა-



ბამისი მეცნიერების განვითარების დონით, მათ მიერ შესწავლილი და რეკომენდებული ტექნოლოგიების ეფექტიანობით. ამ მიმართულებით დაახლოებით ოცნლიანი წყვეტა გვაქვს. ჩვენდა სამწუხაროდ ამ პერიოდში არ მიმდინარეობდა არც სანაშენე/სასელექციო სამუშაოები და არც მთელი რიგი დაავადებების სანინაალმდეგო კვლევითი საქმიანობა. მეტიც, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაუქმდა და ლიკვიდირებული იქნა, რაც უდავოდ შავი ლაქაა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, დარგის განვითარებისათვის ყველა-

ყოველდღიური ცოდნის გაღრმავების და არსებული შესაძლებლობების გაფართოების გზით უზრუნველყოფით ჩვენი ფერმერები ხარისხიანი პროდუქციით, მომსახურებით და ვეტერინარიის სფეროში მაღალკვალიფიციური კონსულტაციებით როგორც თბილისში, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ზოგადად მეცხოველეობის და მათ შორის მესაქონლეობის დარგის განვითარებას განაპირობებს სამი ძირითადი ფაქტორი. ესენია:

- ცხოველის ჯიში (გენოტიპი);
- ცხოველთა სრულფასოვანი და ბალანსირებული კვება;
- ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებები, გადამდები და არაგა-



ზე სწრაფი და უალტერნატივო გზა არის გავიზიაროთ და დავნერგოთ წარმატებული ქვეყნების გამოცდილებები, ტექნოლოგიები. მოგვხსენებათ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები განაპირობებს წარმოების ოპტიმიზაციას. წარმატებულ და მაღალტექნოლოგიურ ქვეყნებში ვგულისხმობთ იმ ქვეყნებს, სადაც დიდი ფულადი სახსრების ინვესტირება ხდება ტექნოლოგიური ინოვაციების კვლევებში.

სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით საქმიანობს და მოღვაწეობს კომპანია „ინვეტი“. ჩვენ მუდმივი ურთიერთობა გვაქვს ევროკავშირისა და ამერიკის კონტინენტის მაღალტექნოლოგიურ კომპანიებთან, სისტემატურად ვიღებთ მონაწილეობას საერთაშორისო დონის კონფერენციებში და ფორუმებში, სადაც ვეცნობით მეცნიერულ სიახლეებს, ვეტერინარიაში და მეცხოველეობაში არსებულ აქტუალურ საკითხებს. ჩვენი კომპანიის მისიაა,

დამდები დაავადებების სანინაალმდეგო პროფილაქტიკა/პრევენცია.

მე თვითოეულ მათგანზე მოკლედ შევჩერდები და ასევე წარმოგიდგინებ ჩვენი კომპანიის შესაძლებლობებს მოცემულ ფაქტორებთან დაკავშირებით.

ცხოველის ჯიში (გენოტიპი) – ანუ მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების ერთობლიობა, რომელიც წამატს მშობლებიდან გადაეცემა. მესაქონლეობა ჩვენი ქვეყნისათვის ტრადიციული დარგია, ჩვენი წინაპრები ამ დარგს საუკუნეების მანძილზე მისდევენ და ხალხური სელექციის შედეგად არაერთი უნიკალური ჯიშია შექმნილი როგორც მესაქონლეობაში, ასევე მეცხოველეობის სხვა მიმართულებებში. დარგში ჯიშობრივი თვალსაზრისით შექმნილი მდგომარეობა საჭიროებს ქმედით ნაბიჯებს, რათა გრძელვადიანი სტრატეგიით მივალნოთ სასურველ შედეგს. სამწუხაროდ, ჩვენი ფერმერების ნახირებში გაურკვეველი წარმომავლობის კურომ-

წარმოებლები დადიან, რომლებიც არ არიან შემონმებული შთამომავლობის ხარისხზე და არც პროდუქტიულობის პოტენციალი გააჩნიათ. შესაბამისად, გენეტიკური და პროდუქტიულობის პროგრესი შეუძლებელია. პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს საუკეთესო სპეციალიზებული ჯიშების ადგილობრივ ჯიშებთან შთანთქმითი შეჯვარება.

ჩვენი კომპანია ნაყოფიერად თანამშრომლობს კომპანია „კავკასიის გენეტიკა“-სთან, რომელიც მოღვაწეობს სანაშენე საქმისა და ხელოვნური განაყოფიერების სფეროში. „კავკასიის გენეტიკა“ ფერმერებს სთავაზობს ყველა ძირითადი მესხორცული და მერძეული ჯიშის ღრმად გაყინულ სპერმას ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისათვის. ამჟამად ერთობლივად ვმუშაობთ სინქრონიზაციის პროექტზე, რაც საშუალებას მოგვცემს ხელოვნური განაყოფიერების პროცესი გავხადოთ უფრო ეფექტური და მაქსიმალურად ვიყოთ დაზღვეული ყველა რისკისაგან. აღნიშნული მეთოდი წარმატებით მუშაობს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რომელიც ყველაზე ჯანსაღი მეთოდია ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში.

ცხოველთა სრულფასოვანი და ბალანსირებული კვება – კვება ცხოველთა ზრდა-განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია, დიდ გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე და პროდუქტიულობის მაქსიმალურად გამოვლენაზე. ცხოველთა ნორმირებული და სრულფასოვანი კვების ორგანიზაცია ხდება ცხოველის ასაკობრივი ჯგუფის, ცოცხალი მასის, პროდუქტიულობის მიმართულების (მერძეულია თუ მესხორცული) და შენახვის პირობების მიხედვით. ბალანსირებული კვება გულისხმობს ორგანიზმისათვის საჭირო ყველა მინერალური ნივთიერებებით და ვიტამინებით ცხოველთა უზრუნველყოფას.

კომპანია „ინვეტი“-მა 2012 წელს საკვების მწარმოებელი მინი-საწარმო გახსნა, რომელიც ქართველ ფერმერებს უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქციით. ჩვენი კომპანიის მიზანია ვანარმოთ ცხოველთა საკვები მაღალი მონელებით, ცილის და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობით. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კომპანიის მიერ წარმოებული საკვების და საკვები დანამატების

რეცეპტურა ეფუძნება მაღალტექნოლოგიური წარმოებების კვების სისტემებს. მოგეხსენებათ, რომ კვების თანამედროვე მეთოდის გამოყენება შესანიშნავ შედეგს იძლევა იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული წარმოების განვითარება ჩვენი კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ამასთანავე რეალიზებული პროდუქციის გაზრდილმა დინამიკამ და მადლიერი მომხმარებლების რაოდენობამ გვაიძულა გაგვეფართოებინა საწარმოო მასშტაბები. კომპანია უახლოეს მომავალში, სახელმწიფო პროგრამა „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში, გახსნის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოს, რომელიც ჩვენს ფერმერებს შესთავაზებს მაღალი ხარისხის საკვებს.



ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებები, გადამდები და არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკა/პრევენცია

ცხოველი თავის ჯიშისათვის დამახასიათებელ პროდუქტიულობას ავლენს სრული ჯანმრთელობის პირობებში. მესაქონლეობის განვითარება შეუძლებელია მდგრადი ეპიზოოტიური სიტუაციისა და მაღალი ვეტერინარულ-სანიტარული ღონის გარეშე.

ვეტერინარულ-სანიტარულ და ზოოჰიგიენურ ღონისძიებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცხოველების გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა აღმოცენების და გავრცელების საკმეში. ხშირად ფერმერულ მეურნეობებში არსებული

მძიმე პირობები წინაპირობა ხდება მრავალი გადამდები და არაგადამდები დაავადებების გაჩენისა. ამიტომ ფერმერებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა მკაცრად დაიცვან ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური წესები.

ვაქცინაცია საუკეთესო გზაა, რათა თავიდან ავიცილოთ პირუტყვის დაინფიცირება და დაავადების გავრცელება. სახელმწიფოს შესაბამისი სამსახური პირუტყვს ცრის რამდენიმე დაავადებაზე: თურქული, ჯილეხი, ნოდულარული დერმატიტი, ბრუცელოზი (მოზარდებში, 4-8 თვის ასაკში). დანარჩენ დაავადებაზე ვაქცინაცია უნდა ჩაატაროს ცხოველის მეპატრონემ, ფერმერმა ვეტერინარი ექიმის დახმარებით, როგორცაა ემკარი, პასტერელოზი. ჩვენი კომპანიის საკონსულტაციო ჯგუფს აქვს შემუშავებული პროფილაქტიკური ვაქცინაციის პროგრამა როგორც, კულტურულ-მაღალპროდუქტიული ჯიშებით დაკომპლექტებული მეურნეობისთ-

ვის, ასევე ადგილობრივი ჯიშებით არსებული მეურნეობებისთვის.

ინვაზიურ დაავადებათა შორის ყველაზე გავრცელებული ჰელმინთოზური დაავადებებია, რომლებიც ძირითადად აინვაზირებენ მოზარდ ცხოველებს. მეურნეობების რენტაბელობა დიდად არის დამოკიდებული ჰელმინთოზურ დაავადებათა მიმართ კეთილსაიმედოობაზე.

ჩვენს ფერმერებს მინდა წარმატებები ვუსურვო და მოვუწოდო ორიენტირებულნი/მოტივირებულნი იყვნენ პროგრესისკენ/განვითარებისკენ, დანერგონ მეურნეობის მართვის ეფექტიანი სისტემა და უზრუნველყონ ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. სწორედ ასეთი ფორმითაა შესაძლებელი ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელიც დღეს ამ დარგის წინაშე დგას.

გურამ მელაძე,
კომპანია „ინვეტი“-ს
მთ. კონსულტანტი, აკადემიური
დოქტორი.

ფერმერის გვირდი

რუბრიკას უძღვება „მოგავლის ფერმერი“

გაქვთ კითხვა აბრუნდითან?

მოგვწერეთ ან ღარიკეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge
პასუხს მიიღებთ ჟურნალ „ახალი აბრარული საქართველოს“ საშუალებით.

1. რა ძირითადი დაავადებები არსებობს მარცვლოვან კულტურებში?

მარცვლოვან კულტურებში ძირითადი და მეტად საშიში დაავადებაა გუდაფშუტა. გუდაფშუტა მარცვლებს აქცევს მტვრად. გუდაფშუტა მცენარის ვეგეტაციის სხვადასხვა ფაზაში ვითარდება. არსებობს ხორბლის სველი ანუ მყრალი გუდაფშუტა, ხორბლის მტვრიანა გუდაფშუტა და სიმინდის მტვრიანა გუდაფშუტა.

2. მცენარეთა დაცვის რა საშუალებები არსებობს?

მცენარეთა დაცვის მრავალი საშუალებაა: აგროტექნიკური, მექანიკური, ფიზიკური, ბიოლოგიური, ბიოტექნიკური, ქიმიური, სელექციური, გენეტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ინტეგრირებული.
განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მავნებლებისა და დაავადებების მიმართ გამძლე ჯიშების შექმნას. კერძოდ, ისეთი ჯიშები, რომლებიც გამძლეა სოკოვანი

დაავადებების, მაგ.: ნაცრის, ქრაქის, ვერტიცილიოზური ჭკნობისა და სხვათა მიმართ. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს თესლბრუნვას. პერსპექტიულია მცენარეთა დაცვა ბიოლოგიური მეთოდების საშუალებით. სახელდობრ, ბუნებრივი მტვრების გამოყენება მავნებლების, სარეველების წინააღმდეგ.

სახელმწიფო ატარებს საკარანტინო ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ყველაზე საშიში მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებების, სარეველების წინააღმდეგ, რათა აღკვეთოს მათი გავრცელების საშიშროება.

3. როგორ უნდა ვეპროდუცირებოთ ეროზიას?

ეროზიის ორი ტიპი არსებობს: ქარისმიერი ეროზია, რომელიც ქარისაგან არის გამოწვეული. ქარს მინის ნაწილაკები ასეულობით კილომეტრზე გადააქვს. წყლისმიერი ეროზია, რომელიც წყლის ზედაპირული გამორეცხვით არის გამოწვეული.

ეროზიის დროს საჭიროა სხვადასხვა ღონისძიების გატარება. ქარისმიერი ეროზიისას საჭიროა ნიადაგის ზოლებრივად დამუშავება – დათესვა. წყლისმიერი ეროზიის დროს მიმართავენ ნიადაგის ხვნას, თესვასა და ფერდობების კულტივაციას გარდი-გარდმო. ასევე მიმართავენ სპეციალურ თესლბრუნვას. იყენებენ აგრომელიორაციულ ღონისძიებებს, ქარსაფარი ზოლების გაშენებას, სპეციალურად მრავალწლიანი ბალახების, ტყის ზოლების გაშენებას, ჯებირების მოწყობას.

4. ვეგეტატიური გამრავლების რა ხერხები არსებობს?

გადაწვენიით (ვაზი და სხვ.), ფესვის ამონაყრით (ყოლო და სხვ.), ბოლქვით (ხახვი, ტიტა), ტუბერით (კარტოფილი და სხვ.), კალმით (მოცხარი, ხურტკმელი და სხვ.).

5. რა პირობებია საჭირო ბრონეულის გასაშენებლად?

ბრონეული ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. კვლევებიდან ჩანს, რომ იგი კარგად ხარობს საქართველოში ზღვის დონიდან 850მ სიმაღლემდე. კარგად იზრდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ვეგეტაციას იწყებს აპრილის პირველ დეკადაში. ყვავილობს მაისის დასაწყისიდან შუა ივლისამდე. ბრონეულის ნაყოფის დამწიფება სექტემბრიდან იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. ბრონეული მაღალ მოსავალს იძლევა ცხელი და მშრალი კლიმატის პირობებში. ბრონეულის მაღალმოსავლიანი ჯიშებია ფიროსმანი (210ც), შახ-ნარი(210ც) და სხვ. ბრონეულის ნერგები მსხმოიარობას დარგვიდან მესამე წელს იწყებენ. შემდეგ წლებში მათი მოსავალი მატულობს და ხუთწლიანი ნარგაობიდან საკმაოდ მაღალი მოსავალი მიიღება.



6. როგორ ამრავლებენ ნუშს?

ნუშის გამრავლება შეიძლება თესლითა და მყნობით, რისთვისაც ამრავლებენ თესლიდან აღზრდილ საძირეს. საძირედ იყენებენ ატამს, ქლიავს, ტყემალს და თვით ნუშის საძირეს.

7. როგორ ირგვება ნუში?

ნუში ირგვება სხვადასხვა კვების არეზე 8X8 -ზე ან 7X5 მეტრზე. გაშენების დროს უნდა გავითვალისწინოთ დამატვერიანებელი ჯიშების გაშენებაც.

რუბრიკას უძღვება „მოგავლის ფერმერი“

გაქვთ კითხვა ვეტერინარს?

მოგვწერეთ ან ღარიკაში, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge
პასუხს მიიღებთ ჟურნალ „ახალი აგრონომიის საქართველოს“ საშუალებით.

1. როგორ მოვიძებო, როცა ხვალ ხშირად ახველებს, ცხვირიდანაც გამონადენი აქვს და უმადოდაცაა?

ამ პერიოდში ცხოველი ხშირად ცივდება. უნდა ვეცადოთ, რომ დიდხანს არ გაჩერდეს სიცივეში. მივცეთ კარგი ხარისხის საკვები და აუცილებლად ჩავუტაროთ ანტიბიოტიკოთერაპია. ამ შემთხვევაში კარგი იქნება გამოვიყენოთ ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები: „პრიმალინი“, „ოქსიტეტრაციკლინი 200“, „პრიმაფული“. გართულებულ შემთხვევებში: „პენბექსი“.



2. ჩემი ძროხა გალავი მოიგებს. ამ დღეებში ვამჩნევ, რომ ხშირად წვება, ზოგჯერ ცოხნას აჩერებს. როგორ შევუშუსუაქვო მდგომარეობა?

ამ მდგომარეობას მაკეობისდროინდელი პარეზი ეწოდება. იმისათვის, რომ მდგომარეობა უფრო არ გართულდეს, მითუმეტეს, მოგების შემდეგ, აუცილებელია კალციუმის დეფიციტის შევსება ორგანიზმში. ამ დროს კეთდება: „კალფოსეტის“ ან „კალსემინის“ ინექცია; კარგი იქნება „ვიტამინი AD3E“. შეიძლება საკვებში გავუზიოდოთ: საკვებდანამატი „დიკალციფოსფატი“ ან „კალფოსტონიკი“.

3. ჩემი ბროილარის ქათამს აცემინებს, ხშირად აქვს გამონადენი ცხვირიდან. ხელის მოკიდებასა ქათამი

ცხელია. როგორი ანტიბიოტიკების მიცემა ჯობს ამ დროს?

ყველაზე ოპტიმალური და პრაქტიკულად საუკეთესო შედეგის მომცემია რესპირატორული პრობლემის დროს „ტილოტექსის“ ფხვნილისა და „პოლოდოქსინის“ მიცემა კომბინაციაში, 5 დღის განმავლობაში.

4. მყავს დიდი რაოდენობით საქონელი და რამდენიმე ასეული ცხვარი. რა აუცილებელი აცრები ან გამოკვლევებია ჩასატარებელი ნოემბრის თვეში?

თუ ამ დრომდე არ გაგიკეთებიათ, ნოემბერში აუცილებელია შემოწმდეს და გამოკვლევები ჩატარდეს საქონელს ბრუცელოზსა და ტუბერკულოზზე. ვაქცინაცია კეთდება ჯანმრთელ ცხოველზე შემდეგ დაავადებებზე: თურქული, ცოფი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი. ცხვარში: ბრადზოტი, ყვავილი.

5. მიჭირს ჩემს კალს ინექცია გაუკეთო. კუჭ-ნაწლავის მოქმედების მხრივ პრობლემა აქვს. როგორი პერორალური საშუალებებია ამ დროს ოპტიმალური?

პრეპარატი „ოლიგოფოსი“ ეუბოტიკს წარმოადგენს. სასმელ წყალთან ერთად მისი 10 დღის განმავლობაში მიცემა გამოიწვევს კუჭ-ნაწლავის მოქმედების ნორმალიზაციას. თუ ხშირ ფალარათებს და გართულებებს აქვს ადგილი, დამატებით მიეცით „სულტრიმის“ აბები 3 დღის განმავლობაში.

6. ღორები აცრილი მყავდნენ ჭირზე, მაგრამ რომელიმე უცნობი ინფექციით მაინც დაიხსოვნენ. ამ შემთხვევაში ვაქცინა არ იმუშავა თუ რომელიმე სხვა დაავადებაზეც გავამახვილოთ ყურადღება?

რა თქმა უნდა, აუცილებელია ვადიანი და ხარისხიანი ვაქცინის გამოყენება, მაგრამ თუ დარწმუნებული ვართ ვაქცინის საიმედოობაში, ეჭვი მიგვაქვს სხვა ინფექციურ დაავადებაზე.

ხშირ შემთხვევაში, არ ხდება გოჭის აცრა პასტერელოზზე, რომელიც ზოგჯერ უფრო მწვავედ მიმდინარეობს, ვიდრე – ჭირი. აუცილებელია ამ ვაქცინის გაკეთება, ვინაიდან ამ დროს არანაკლებ დიდია ეკონომიკური ზარალი. დაავადების დროს კი დროული დიაგნოსტიკისა და სწორად შერჩეული მკურნალობით გადავარჩინოთ ცხოველთა დიდ რაოდენობას.

7. ჩემს ხომავს ჰქონდათ გამონადენი თვალებიდან. გამოვიყენე რომორც თვალის წვეთები, ასევე – მალაგოც, მაგრამ უშედეგოდ. რას მირჩევთ, რა არის ამ დროს უფრო ეფექტური?

ეფექტური სწორი მკურნალობაა. თქვენ მკურნალობდით მხოლოდ სიმპტომს და არა მიზეზს, მიზეზი კი ამ შემთხვევაში თვალის ჭია – თელაზიოზი. აუცილებელია ორჯერადად ცხოველის დამუშავება („პრომექტინი“, „ბიომექტინი“ ან „ვილმექტინი“), ხოლო შემდგომ თელაზიოზით გამოწვეული კონიუქტივიტის მკურნალობაც ეფექტურია წვეთებითა და „ტეტრაციკლინის“ მალაგოთი.

რუბრიკას უძღვება „მოვალის ფერმერი“


ახალგაზრდა ვეტერინარი გოგა გუგულაშვილი

„მოვალის ფერმერი“ აბრკალებს ახალგაზრდა და მოტივირებული ვეტერინარებისა და აბრონომების საზოგადოებისთვის წარდგანას.

გაბატონობთ ვეტერინარ გოგა გუგულაშვილს, რომელიც გურჯაანის მუნიციპალიტეტს 2008 წლიდან ემსახურება.

ზოოვეტის დამთავრების-თანავე იგი საკუთარ რაიონში (გურჯაანის რაიონი, სოფ. ნა-ნიანი) დაბრუნდა და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაერთო. დღეს ორი მსხვილი ფერმის კონტრაქტორია და ამასთან, კაჭრეთის პროფესიულ სასწავლებელ „აისში“ ვეტერინარიის სპეციალისტების პრაქტიკული მეცადინეობის ჯგუფს ხელმძღვანელობს. არის კოლეჯის სასწავლო ფერმის ვეტერინარი. გოგა წელიწადში 15-მდე სტუდენტს

ამზადებს. მას ყოველთვის ანუხებდა, რომ ვეტერინარით ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებოდნენ. „სხვადასხვა პროგრამებისა და ტრენინგების დროს მთელი საქართველო შემოვიარე და გული მწყდებოდა, რომ ჩემი ასაკის ხალხს თითქმის ვერსად ვხვდებოდი. 160 კურს-დამთავრებულიდან მხოლოდ ხუთი გავყვევით ვეტერინარიას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიზნად დავისახე ჩემი პროფესიით ახალგაზრ-



ვეტერინარის გვირდი



დები დამეინტერესებინა და თავადაც შემეტანა გარკვეული წვლილი მათ ჩამოყალიბებაში. ვთვლი, რომ კოლეჯის ბაზაზე ყველაზე საინტერესო და საჭირო საქმეს ვაკეთებ“, – ამბობს გოგა.

ახალგაზრდა ვეტერინარი მონარულია, რომ ბოლო სამი წელია ვეტერინარიის სპეციალისტებზე მოთხოვნა გაიზარდა. სტუდენტების მხრიდანაც დიდა დაინტერესება, რადგან ვეტერინარია დასაქმებადი პროფესია გახდა. სტუ-

დენტების 70-75% დასაქმებულია კერძო ფერმებში, ვეტერინარულ აფთიაქებში, ჩართულნი არიან სახელმწიფო ვეტერინარული აცრების პროგრამაში.


გოგა გუგულაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ უფრო მეტ ახალგაზრდას გაუჩნდება სურვილი შეისწავლოს ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის პროფესია, დაეხმაროს სოფელს და ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

კროსვორდი

რუბრიკას უძღვება „მომავლის ფორმირი“

თარაზულად: 5. საქონლის გადამდები მწვავე ვირუსული დაავადება 6. მწვანელი, იგივე ესტრაგონი 9. ქვევრის მასალა 10. მოხარშული ხილი 11. გაზაფხულის ნათესი ხორბალი 12. ხის პარაზიტი ბუჩქოვანი მცენარე 14. ყველაზე ცნობილი ყვავილი, იყენებენ პარფიუმერიაში ზეთის მისაღებად 16. ერთ-ერთი საუკეთესო ერთწლიანი მარცვლოვანი კულტურა 18. ფრინველის გადამდები ვირუსული დაავადება 19. კენკროვანი მცენარე, იგივე დუდღუბო, ბაბუშტელა 21. გარეული ღორი 23. ქართული ურემი, იგივე ჩოჩიალა 24. ხის შეფოთილი ნაწილი 26. პარაზიტის განვითარების სტადია, იგივე მატლი 30. საქონლისთვის შხამიანი ყვითელყვავილიანი ბუჩქი 31. არქტიკის ბინადარი ვეშაპისებრი გრძელი „შუბით“ 32. ფუტკრის რძის დედოზე დამზადებული ბიოსტიმულატორი 33. ერთწლოვანი მარცვლოვანი კულტურა, რომლითაც ამზადებენ მჭადს.

შეუღლად: 1 ფრინველის ან მწერის საფრენი ორგანო 2. ხელოვნურად გალივებული მარცვლეული სპირტის ან ლუდის მისაღებად 3. ველური მსხალი 4. მტრედის ბარტყი 5. ოპიუმის ძველქართულად 7. ველური ვარდი 8. ტაბიკების გადასაბმელი თოკი 13. ხარის ტყავისგან დამზადებული დიდი ტიკი 14. ფუტკრის დაავადების (ვაროატოზი) გამომწვევი ტიკიპა 15. საქონლის საუკეთესო საკვები სამყურა ბალახი 17. ზოგი მცენარის მიკროსკოპული ჩანასახი 20. ბუტ-



კოს ქვედა გაფართოებული ნაწილი 22. ოთახის ყვავილი, იგივე როდოდენდრონი 25. მძიმე ზოონოზური დაავადება, იგივე ციმბირის წყლული

27. მოზარდი ქათამი 28. ციმბირული ძაღლის ჯიში 29. სამკურნალო მცენარე „... დუმა“ 31. ხის სახეობა, იგივე კოპიტა.

წინა ნომერში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ალუბალი 6. კაბერნე 9. ბაკი 10. ონდატრა 11. ქერი 12. ბამბა 14. შერია 16. კალია 18. კოჭეული 19. ცირცელი 21. კაკაო 23. იმაგო 24. პარკი 26. ატამი 30. ფოცხი 32. სახნისი 33. იარანგი 34. გვირილა.

შეუღლად: 1 გუბია 2. კლონი 3. შავრა 4. ჭრაქი 5. აკაცია 7. ეგრისი 8. ნაყარი 13. ბაჭია 14. შოლტი 15. აკიდო 17. აბედა 20. მარანი 22. ასტამი 25. კეხურა 26. მახრა 28. ტაიგა 29. ფსოვი. 31. ოდოია.



MASSEY FERGUSON



Challenger

 **AGCO**
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
სსიპ  **გეოტექნიკა**
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

გამოიწერეთ ჟურნალი

ეკონომიკური საქართველო!

ერთი წლით ჟურნალზე ხელმოწერის ღირებულება
შეადგენს 24 ლარს,
ნახევარი წლით – 12 ლარს.

ხელმოწერის გაფორმება შესაძლებელია პრესის
გავრცელების სააგენტოს მეშვეობით:

„ელვა ჯი“ (ტელ.: (032) 238 26 73; (032) 238 26 74);
ან

ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედაქციაში.

თბილისი, გორგასლის ქ.№51,
ტელ.: 599 16 18 31.
ელ.ფოსტა: agroasca@gmail.com